კეთილდღეობას გილოცავთ ფოთელებო!

„მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შემეძლო"...

ნიკოლაძის გზით

ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი № 1 (290) 24 იანვარი ხუთშაბათი, 2020 წელი; ფასი 1 ლ.

ნათლისღების წრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ!

ქართველებო, იარეთ ღვთიური გზით!

19 იანვარს აღინიშნა ნათლისღება - ერთ-ერთი უმთავრესი ქრისტიანული დღესასწაული

ტროპარი: რაჟამს იორდანეს ნათელ იღე შენ, უფალო, მაშინ სამებისა თაყვანისცემა გამოსჩნდა, რამეთუ მამისა ხმა გეწამებოდა, და საყუარელად ძედ სახელ-გდვა შენ, და სული წმიდა სახითა ტრედისათა დაამტკიცებდა სიტყ-ვისა მის უცდომელობასა, რომელი განსცხადენ, ქრისტე ღმერთო, და ყოველი სოფელი განანათლე, დიდება შენდა!

საით მიაქანებს ქვეყანას პოლიტიკური აისბერგი

ამერიკელი მკვლევარები, სოროსელი ანალიტიკოსები, „ნაცების" არასამთავრობოები-საქართველოს მტერი თუ მოყვარე?

მეორედ მოსვლის წინ: ვითომ გამოკითხვის შედეგები - საკაშვილს 26%-იანი მხარდაჭერა, ივანიშვილს - 16%.

მე-2 გვ

შემოდიოდა ჩვენში კალანდა

მე-3 გვ

ფოთში ტრადიციული საშობაო ალილო გაიმართა

მე-3 გვ



14 იანვარი საქართველოს სახელმწიფო დროშის დღეა

1850 წლიდან დღემდე, 14 იანვარს საქართველოში ქართული თეატრის დღეს აღინიშნავენ. ვულოცავთ ქართულ თეატრალურ საზოგადოებას თეატრის მოყვარულებს და სრულიად საქართველოს ამ დღეს.



სულ რამოდენიმე ხანში ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო თეატრი, თავის კუთვნილ, ახლადრეკონსტრუირებულ, შენობაში გააგრძელებს მუშაობას. ვულოცავთ თეატრის დასს პროფესიულ დღეს და ვუსურვებთ ნაყოფიერ მოღვაწეობას.

ფოთის მერმა გოჩა კურდღელიამ წლის საუკეთესო სპორტსმენი დააჯილდოვა

მე-3 გვ

ფოთში ავტომანქანების კომპონენტების ქარხნის მშენებლობა იწყება

მე-2 გვ

ფოთში შობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართა

მე-3 გვ

ქალაქ ფოთში, აბესალომ ვეკუას ქუჩაზე, ახალი სატუმბი სადგურის მშენებლობაზე ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა

მე-3გვ



ქალაქში სამი საკვანძო ქუჩის რეაბილიტაცია დაიწყო

მე-3 გვ

სიმღერაა მთელი ჩემი ცხოვრება

ნუგზარ ნაჭყებიას შემოქმედებითი საღამო გაიმართა

მე-7 გვ

კუნძულის სანაპირო ზოლის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი იწყება

მე-3 გვ

ნიკოლოზ იბერი

ავთანდილისაგან ფრიდონისას მისვლა, ტარიელს რომ გაეყარა

(პოემაში ჩაფლული ღვთის საიდუმლოებანი)

მე-4 გვ



საით მიაქანებს ქვეყანას პოლიტიკური აისბერგი

ამერიკელი მკვლევარები, სოროსელი ანალიტიკოსები, „ნაცების" არასამთავრობოები-საქართველოს მტერი თუ მოყვარე?

მეორედ მოსვლის წინ: ვითომ გამოკითხვის შედეგები- სააკაშვილს 26%-იანი მხარდაჭერა, ივანიშვილს-16%.

არსებობს ისეთი გამონათქვამი, რომ პროპაგანდა ზოგჯერ ანტიპროპაგანდაა.

ასე მოუვიდათ ინდიაის მესვეურთ ბოლო კვლევის გამო, რომელიც აშკარად პოლიტიკური დაკვეთაა და „ნაცების" რეაბილიტაციას ისახავს მიზნად. თუმცა მისდუნებურად „ოცნების" საქმე გააკეთეს.რამეთუ მიშას მეორედ მოსვლის საშიშროებამ გამოაფხიზლა ხალხი და ისევ ივანიშვილის ორბიტაზე დააბრუნა, რომელიც, რომ არა მოდალატე პოლიტიკოსები სხვადასხვა უწყების ლიდერები, ბევრი რამის გაკეთებას შეძლებდა. ნეოფაშოსტების რევანშისტულ დაბრუნებას ხალხი არ დაუშვებს. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ თუ მესამე პატრიოტული ძალა გამოჩნდა „ოცნებას" პრობლემა არ შეექმნება. მოკლედ, ჩვენივე დემოკრატია ჩვენივე ძალა და უფლება, რომელსაც სხვას გადავცემთ ჩვენივე თავსატეხი და მტერი გახდა - საყვარელი მტერი, რომელსაც ვერ იცილებ, რამეთუ შენია. როცა ერთი მხარე ძალაუფლების შენარჩუნებისათვის იბრძვის, მეორე მისი ჩამოგდებისათვის და ორივეს მიზანი ხელისუფლებაა და არა ქვეყნის წინსვლა, რის გამოც გაუთავებელ პოლიტიკურ ბატალიებშია ჩაფლული ქვეყანა და ყველა რესურსი ამ პროცესებს ხმარდება, ხალხის კეთილდღეობაზე არავინ ფიქრობს და ისიც გაწბილებული და გულნატკენი ამომრჩეველი ტოვებს სამშობლოს. და ამაში ხელისუფლებაც წაეშველება თურმე, რათა სახღვარგარეთ ხელშეკრულებით იმუშაოს. აი შედეგი 30 წლიანი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისა. სამწუხაროდ, დემოკრატია ვერ გამოდგა პიროვნული თავისუფლების, ამ უმთავრესი პოსტულატის გარანტი. ანუ ხალხი ვერ გახდა თავისივე ქვეყნის განვითარების გზის განმსაზღვრელი და არჩევნებით ვერ გადაწყვიტა ის პრობლემა, რასაც სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და კეთილდღეობა ჰქვია. ხალხის დემოკრატიით სარგებლობს ყველა ხალხის გარდა. შიდა და გარე მტრები ურცხვად ერევიან მის არჩევანში. ხალხი მხოლოდ დემოკრატიულ ბუტაფორიად იქცა, როგორც ამ სპექტაკლის მთავარი ატრიბუტი.ხელისუფლების ცვლილებას ისევ ხალხის გაჭირვება და უკმაყოფილება აჩქარებს და უცხოელ მეგობრებსაც სხვა გზა არ რჩებათ-წაეშველონ ახალ არჩევანში. თუმცა, ამ გაუთავებნელ ცვლილებებს დიდი შედეგი არ მოჰყოლია.

როგორც ავღნიშნეთ მთელი ქვეყანა საარჩევნო კამპანიად იქცა. არჩევნებიდან არჩევნებამდე გაგვაქვს თავი,მერე ვითომ ვიდაცას ჩვენი აზრი აინტერესებს-არის გამოკითხვები, რეიტინგები, პოლიტიკური ანალიზები და თითის ქნევა. ვითომ ქართველი ხალხის ბედი აინტერესებს ვიღაც გადამთიელს, რომელიც ურცხვად იძლევა მითითებებს ვინ უნდა აირჩიო. მტერს მოყვარედ ასაღებს, სააკაშვილს ვერადა ვერ ელევიან ოკიანის გაღმელები, რამეთუ მათ დავალებბებს ასრულებდა. არც რუსები გაუნაწყენებია ბევრად, ამიტომაც უფეშქაშეს 26%-იანი რეიტინგი-ალბათ, ქვეყნის ნგრევის ომისა და უბედურების ფასად. თავადაც ხომ გაძარცვა ქვეყანა თავის „ნაც ბანდასთან ერთად. და ისეთი კრიმინალური გარემო შექმნა, კიდევ ბევრი ხელისუფლება მამა აბრამის ბატკნად მოგვეჩვენება. არ გვინდა ამერიკელები ქართველი ხალხის მტრებად შევრაცხყოთ, მაგრამ რაღა ისევ სააკაშვილს აბრუნებენ ან აპოლიტიკოსებენ, ნუთუ ასე პრიმიტიული და დაცემული ერი ვგონივართ-ჩვენ დემოკრატია მაშინ გვქონდა ნახევარი ევროპა ხეებზე, რომ დაცოცავდა და ამერიკის ხსენებაც რომ არ იყო. მაგრამ მაშინ ქვეყანას პატრონი ყავდა, სახელმწიფო მოღვაწეები მართავდნენ სახელმწიფოს, სახელმწიფო და ეკლესეია ერთ საქმეს აკეთებდა. დღეს პირველი ბოლომდე ვერ ჩამოყალიბდა, მეორეს წინააღმდეგ კი დიდი ომია გამოცხადებული, არადა ეკლესია ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის ციტადელია. აქ არის პოლიტიკაც და იდეოლოგიაც, აქ არის ღმერთის და კაცის ერთობაც, სახელმწიფოებრიობისა და ეროვნულობის შესანარჩუნებლად. ის ბინძური პოლიტიკური კამპანია, რაც საქართველოს პატრიარქის წინააღმდეგ ააგორეს,სამარცხვინო ლაქად დარჩება ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ყოველივე იმ ლიბერალ დასავლეთელთა დაკვეთას გავს, რომელთა ქრისტიანული მზე კარგა ხანია ჩაესვენა.

ორადაა ქვეყანა გაყოფილი ყველა სფეროში, მიდის ბრძოლა ძალაუფლებისათვის, ქვეყნის ქონებისათვის, მუდმივად პოლიტიკური ბრძოლის რეჟიმში ყოფნა დამღლელი და ხელისშემშლელია ქვეყნის განვითარების თვალსაზრისით. რომლის ცხოვრების განმსაზღვრელი ერთიანობა და მიზანდასახულობაა ყველა პარამეტრით. პოზიციისა და ოპოზიციის ამოსავალი ქვეყნის სიყვარული უნდა იყოს. და არა პირადი კეთილდღეობა. ვნახეთ ამ მხრივ რისი მაქნიასია „ნაცები"-„ოცნებაც.რომელიც ბევრ რამეში არის მისი მემკვიდრე და თუ უნდა ხალხში ისევ აღიდგინოს ავტორიტეტი უნდა დაიწყოს პარტიის რეალური გაჯანსაღების პროცესი, სხვა მხრივ ქვეყანა გამოუვალ მდგომარეობაშია. მით უფრო არ ჩანს მესამე პოლიტიკური ძალა.

სულ მტრების გარემოცვაში ვართ: აშშ-„ნაცები"-რუსები და სხვა შინაურები, 200 პარტია - ვაი პარტიელები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სოროსელები, ექსპერტები, პოლიტოლოგები ვითომ ქვეყანაზე სწუხან. თუმცა, შედეგი სხვარამეზე მეტყველებს.ისე გამოდის „გაღმა გასვლისა მსურველთა უკუღმა მიგვყავს ბორანი". ისევ არჩევნები, ისევ ტყუილი დაპირებები, ნატო, დაკარგული ტერიტორიები, დაკარგული და გაქცეული ხალხი... ისევ სააკაშვილი და ბოკერიები უშველის ამ საქმეს? მტერი არაა მეტი. ესაა დემოკრატიის ნაყოფი? ამით იყო ფეხმძიმე 30 წლიანი დამოუკიდებლობის პერიოდი?ჩვენივე თავი დღეს მაინც რატომ არ გვეყუდვნის ჩვენვე, რატომ გვკარნახობენ ამერიკელები ცხოვრების წესს? ჩვენ რა დაუსწრებელი მაცხოვრებლები ვართ და ვერ ვხვდებით რა უბედურება მოგვიტანა ვითომ დემოკრატიამ... საქართველო ქართველი ხალხის საკუთრებაა და არა ხელისუფლებების, რომელთა უარგისობით საქართველო იცლება ქართველობიდან, ამ დემოკრატიული გენოციდისთვის პასუხს აგებენ მისი შემოქმედები, ამაზე უარესს რას გვიზამდა რუსი და გადამთიელი. რა ყოფილა ეს შინაური მტერი, საშიში და დაუნდობელი. არ იცი როდის რა დღეში ჩაგაგდებს ეს შენი რჩეული დემოკრატიის პირმშო, რომელსაც, ამერიკა უჭერს მხარს.და ეს ვითომ „ნაციონალური მოძრაობა დაცლილია მთავარი დირებულებისგან-პატრიოტიზმისგან. არ შეიძლება მის გარეშე -ქვეყნის სიყვარულის გარეშე და მხოლოდ ძალაუფლების წყურვილით იყო დიდი პოლიტიკოსი და აკეთო სახელმწიფო საქმე. უპირველესი პატრიოტიზმია. ყოველი გაჭირვების ჟამს საქართველოს უფალი მხსნელს მოუვლენდა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ლიდერის გარეშე ცხოვრება შეუძლებელია, მაგრამ კოლექტიური მმართველობის პერიოდიც იყო პირველ პარლამენტში ბევრი პარტია იყო წარმოდგენილი. დღესაც არ გვაკლია ოპოზიციური პარტიები, ოღონდ მცირე კონტიგენტით - 50-100 კაციანი ჯგუფებით. 30 წლიანი მოლოდინის შემდეგ იქნებ შეიცვალოს რამე ხალხისთვის, რომელმაც ყველაფერი გაიღო დემოკრატიისათვის, რომ იგი პროგრესისათვის დაეკავშირებინა. ალბათ, უნდა მივხვდეთ, რომ არჩევანი ისევ ჩვენზეა დამოკიდებული. ბიულეტინი ტყვიაზე უარესია და არაგვაქვს ფუჭი გასროლის უფლება. 30 წელი საკმარისი დროა, რათა შეცდომებზე ვისწავლოთ და ავირჩიოთ ის ხელისუფლება, რომელიც ქვეყანაზე იზრუნებს და ხალხს ღირსებას დაუბრუნებს.

კარგა ხანია ორადაა გაყოფილი საქართველო, არადა, იგი ერთია. ამიტომაც ყველას ვალია ხელი ავიღოთ ანტისახელმწიფოებრივ ქმედებაზე, თორემ ეს მტრობა ბუმერანგივით დაგვიბრუნდება.

ზ. აბრალავა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა აცხადებს, რომ ანაკლიის ღრმაწყლოვან პორტთან დაკავშირებით ახალი ტენდერი შეცვლილი პირობებით მალე გამოცხადდება

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა აცხადებს,რომ ანაკლიის ღრმაწყლოვან პორტთან დაკავშირებით ახალი ტენდერი შეცვლილი პირობებით მალე გამოცხადდება.

როგორც მინისტრმა ანაკლიის პორტზე საუბრისას აღნიშნა, "ანაკლიის განვითარების კონსორციუმთან" ხელშეკრულების შეწყვეტა ლოგიკური გადაწყვეტილება იყო.

„როგორც იცით, მთავრობის გადაწყვეტილებით შეწყდა ხელშეკრულება "ანაკლიის განვითარების კონსორციუმთან", ეს მას შემდეგ რაც წლების განმავლობაში ჯამში 7-ჯერ გაუგრძელდა კონსორციუმს ვალდებულებების შესრულების ვადა და ამის მიუხედავად მაინც ვერ მოახერხეს, რომ დროულად დაეწყოთ ანაკლიის პორტის მშენებლობა და შეეკრათ დაფინანსება. აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილება სრულიად ლოგიკური იყო, რადგან ანაკლია ჩვენი პრიორიტეტია და ვერ დავუშვებთ კიდევ უფრო მეტ დაგვიანებას.

რაც შეეხება შემდგომ პროცედურას, ის იქნება ისეთივე გამჭვირვალე, როგორც ჩვენი ყველა ნაბიჯი ამ პროექტთან მიმართებაში. გაცხადებული გვაქვს, რომ ძალიან მალე დავიწყებთ ახალი ტენდერის პროცედურებს. ინფრასტრუქტურის სამინისტრო ჩვენი ჩართულობით გადახედავს პირობებს, რადგან პირობებმა 2017 წლის შემდეგ საკმაოდ დიდი მოდიფიკაცია განიცადა ინვესტორის სასარგებლოდ. ვფიქრობთ, ეს ტენდერი წარმატებული იქნება. დიდი იმედი გვაქვს,რომ ძალიან მალე გამოჩნდება სხვა კომპანია გამჭვირვალე ტენდერის შედეგად. რა თქმა უნდა, ანაკლიის პორტი აშენდება, ეს ჩვენი სტრატეგიული პრიორიტეტია და არაფერი შეუშლის ხელს", -აღნიშნა თურნავამ.

"ინტერპრესნიუსის" კითხვაზე, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, შეიძლება თუ არა გააქტიურდეს ფოთში ახალი ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის საკითხი, მინისტრი აცხადებს, რომ ანაკლიის პორტი პრიორიტეტია.

„ ეს არაა სიახლე, ღრმაწყლოვანი ინფრასტრუქტურა ახლა საქართველოში იმდენად აქტუალურია, რომ "ეიპიემ ტერმინალსს" და ფოთის პორტს ყოველთვის სურდათ, რომ თავისი პროექტი განვითარებინათ,მაგრამ ამ ეტაპზე ანაკლიის პორტზე ვართ კონცენტრირებული", -აღნიშნა თურნავამ.

ფოთში ავტომანქანების კომპონენტების ქარხნის მშენებლობა იწყება

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა კურდღელია, სამეგრელო-ზემო სვანეთში სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე დავით ფარცვანია, ქალაქ ფოთის მერის პირველი მოადგილე კონსტანტინე თოფურია ფოთის თავისუფალ ინდუსტრიული ზონის ტერიტორიაზე ახალი ქარხნის პროექტის პრეზენტაციას დაესწრნენ.

ფოთში ევროპული სტანდარტების, ეკო მეგობრული, თანამედროვე ტექნოლოგიური დანადგარებით აღჭურვილი, ავტომანქანების კომპონენტების მწარმოებელი ქარხნის მშენებლობა იწყება. საწარმო, რომლის ღირებულება 12 მლნ ლარს შეადგენს, 2020 წლის ოქტომბერში ამოქმედდება. ქარხანას ფოთის თიზ-ში რეგისტრირებული კომპანია შპს „სდტ ჯორჯია" აშენებს.

ქარხანა შენდება ფოთის თიზ-ის ტერიტორიაზე გამოყოფილ 5000 კვ.მ ფართობის ნაკვეთზე, სადაც ქართული და უცხოური ნედლეულის: ალუმინისა და თუთიის ზოდებისგან ჩამოისხმება სხვადასხვა ტიპის ავტომანქანების კომპონენტები, რომლის ექსპორტი განხორციელდება ევროკავშირის ქვეყნებში, ჩინეთში, აშშ-სა და მექსიკაში. წარმოების პირველ წელს დაგეგმილია 5 მლნ აშშ დოლარამდე ღირებულების კომპონენტების ექსპორტი, რომლის მოცულობა ყოველწლიურად გაიზრდება.

ქარხანაში 100 ადგილობრივი მუშახელი დასაქმდება, რომელიც სპეციალურ გადამზადებას ჩინეთში ქ. სუჯოუში მდებარე ანალოგიური ტიპის ქარხანაში გაივლის.

ქარხნის მშენებლობა 2020 წლის სექტემბრში დასრულდება. ქარხნის მშენებლობას კომპანია ეკოჰაუსი ახორციელებს.

ქალაქ ფოთის მერმა გოჩა კურდღელიამ, ინვესტორებთან ერთად საწარმოს მშენებლობის საფუძველის ჩაყრის ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა.

ფოთის სამშობიარო სახლი 1 მარტიდან ამოქმედდება

ფოთის გაერთიანებული სამშობიარო სახლი 1 მარტიდან ამოქმედდება. ამის შესახებ შპს „კლინიკა ბომონდის" დირექტორმა მამუკა მიქაძემ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში შეხვედრაზე განაცხადა.

ქალაქ ფოთის მერი გოჩა კურდღელია, მერის მოადგილეები კონსტანტინე თოფურია და მამუკა პაპასკირი შპს „კლინიკა ბომონდის" ხელმძღვანელებს შეხვდნენ.

კლინიკის დირექტორის მამუკა მიქაძის თქმით, თებერვლიდან ქალთა კონსულტაცია ამოქმედდება, ხოლო მარტიდან სამშობიარო სახლი დაიწყებს ფუნქციონირებას.

კლინიკა სამომავლოდ სხვა პროფილითაც გეგმავს ფუნქციონირებას, რის შესახებაც აღნიშნულ შეხვედრაზე ისაუბრეს და რიგი ტექნიკური საკითხები განიხილეს.

შემოდიოდა ჩვენში კალანდა

კალანდა ძველ საქართველოში ადათი და წესია.

ახალი წლის მოსვლა უნებლიედ გვახსენებს "კუჩხი ბედინერსა" და მეკვლეობის უძველეს ტრადიციას, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განსხვავებული სახითაა შემონახული.

სიტყვა "კალანდა",მკვლევართა აზრით შეიძლება შორეულ წარსულში ნასესხები იყოს რომაელთაგან, ან ბიზანტიელ ბრძენთაგან. რომში კალენდას ეძახდნენ თვის პირველ, ან 10 დღეს, იგივე სიტყვაა "კალენდრის" საფუძველი.

როგორ ხვდებოდნენ კალანდას საქართველოში?

სამეგრელოში ახალი წლის წინა ღამეს, რომლის სახელიც აღდგენილია, როგორც ღეჯ-ხვამა (ღორის ლოცვა),ოჯახის უფროსი გამოთლიდა ჩიჩილაკს, მზადდებოდა ახალი წლის მისალოცი და იდებოდა გობზე.მზადდებოდა თხილისა და სუროს თაიგული.ღეჯ-ხვამა (იგივე სახელწოდება გვხდება აფხაზური რიტუალისას) იწყებოდა მთვარის ამოსვლასთან ერთად.

ახალ წელს "ახალ წანა", "კალანდა" ეწოდებოდა. ამ დღეს ოჯახის უფროსი ქალი აცხობდა მჭადს, რომელშიც ღორის ქონი იყო გარეული.სადილის შემდეგ, ოჯახის დიასახლისი ამზადებდა "კირულ-კარუს". ეს პურები გამოსახავდნენ ყურძნის მტევანს, ხელით საფქვავის ქვას, ბარს, ბეღელს, ღორს, კრუხს და სხვა. ოჯახის წევრები ჯოხებს, საწნახელს სიმღერ-სიმღერით ურტყამდნენ.

ალბათ,ყველას გინახავთ მხატვრული ფილმი - "კუჩხი ბედინერი". ძაღლი ბროლია, ერთბაშად იქცა თანასოფლელთათვის სასურველ მეკვლედ...

ძველით ახალი წლის მოსვლა უნებლიეთ გვახსენებს ამ ფილმს და მეკვლეობის უძველეს ტრადიციას, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განსხვავებული სახით არის შემონახული...

როგორც ჩანს "კუჩხი ბედნიერის" მსგავსი ისტორიები. რეალურ ცხოვრებაშიც მეორდება. ეს ჩვენი რესპონდენტების ნაამბობიდანაც ჩანს:

კუნძულის სანაპირო ზოლის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი იწყება

სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული **ალექსანდრე მოწონელია**, ფოთის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან და არქიტექტორებთან ერთად ფოთში კუნძულის სანაპირო ზოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების მეორე ეტაპით განსახორციელებელ სამუშაოებს გაეცნო. პროექტით გათვალისწინებული პირველი ეტაპის სამუშაოები დასრულდა, მოხდა სანაპირო ზოლის მიმდებარედ 2 კილომეტრიანი გზის საფარის მოასფალტება, დამონტაჟდა გარე განათების თანამედროვე სისტემა.

კუნძულის სანაპირო ზოლის და მისასვლელი გზების რეაბილიტაცია რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 1 მილიონ 122 ათასი ლარით დაფინანსდა.

ამჯერად გამოცხადებულია ტენდერი პროექტის მეორე ეტაპის განსახორციელებლად. მეორე ეტაპი ჯებირის რეაბილიტაციას, სასეირნო ბილიკების, სავარჯიშო ზონების, საჩრდილობლების, სასმელი წყლის შადრევნების, ვეტერანთა სახლის, სპორტული და საბავშვო მოედნების მოწყობას, ასევე კაფეებისა და კომერციული ობიექტების განთავსებას ითვალისწინებს.

სახელმწიფო რწმუნებულმა არქიტექტორებთან შეხვედრაზე ასევე ყურადღება გაამახვილა ფოთის სამი საკვანძო ქუჩის სრული რეაბილიტაციის საკითხზე.

მთავრობის განკარგულების შესაბამისად მოხდება აკაკის, წმ. გიორგის და ჭავჭავაძის ქუჩების რეაბილიტაცია. განკარგულების შესაბამისად ამ სამუშაოებს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქცევეუწყებო დაწესებულება, საქართველოს გზების დეპარტამენტი განახორციელებს.

ქალაქ ფოთში, აბესალომ ვეკუას ქუჩაზე, ახალი სატუმბი სადგურის მშენებლობაზე ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა.



პროექტი ითვალისწინებს:

არსებულ სანიაღვრე არხებს შორის 2 კამერიანი სარეგულაციო რეზერვუარის მოწყობას, რომლის პირველ კამერას ექნება სალექარის ფუნქციები;

არსებული სანიაღვრე არხებიდან სარეგულაციო რეზერვუარამდე მიმყვანი არხების მოწყობას;

ავანკამერის მოწყობას ჩაძირული ტუმბოებისათვის;

არსებული სატუმბი სადგურის შენობის რეკონსტრუქციას მასში მართვის პულტის მოწყობის მიზნით;

ზღვის ტალღებისგან ტერიტორიის დამცავი შპუნტოვანი კედლის მოწყობას;

სანიაღვრე წყლების უშუალოდ ზღვაში ჩაგდების მიზნით,სადაწნეო მილსადენების მოწყობას მილსადენების ბოლოების შპუნტოვან კედელზე დამაგრებით;

შპუნტოვანი კედელთან (ზღვის მხარეს) სანიაღვრე და ზღვის წყლების ენერგიის ჩამქრობი რისბერმის მოწყობას;

სატრანსფორმატორო ქვესადგურის მოწყობას;

პროექტის ღირებულება 1„047„442.00 ლარს შეადგენს და იგი საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

პროექტის განხორციელება მნიშვნელოვანია ძლიერი წვიმების დროს ქუჩების დატბორვის თავიდან ასაცილებლად.

ქალაქში ტრადიციული საშობაო ალილო გაიმართა

შობის ბრწყინვალე დღესასწაული ქალაქში, ტრადიციულად ალილოთი აღინიშნა. შობის მახარობლებმა ქალაქის მთავარ ქუჩაზე მსვლელობა მოაწყვეს და მოსახლეობას მაცხოვრის შობის დღესასწაული მიულოცეს. საზეიმო მსვლელობა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიიდან დაიწყო და საკათედრო ტაძართან დასრულდა. მასში ფოთისა და ხობის ეპარქიის სამღვდელოება და მრევლი მონაწილეობდა. მეალილოეებს ქალაქ ფოთის მერი გოჩა კურდღელია, საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი აკაკი დარჯანია და მერის მოადგილეები თანამშრომლებთან ერთად შეურთდნენ. მთავარ ნაძვის ხესთან საშობაო-საახალწლო კონცერტი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ ადგილობრივი ქორეოგრაფიული,ფოლკლორული,ვოკალური და საესტრადო ჯგუფები. დაჯილდოვდნენ წარმატებული სპორტსმენები. ასევე მოეწყო საახალწლო სოფელი, სადაც ყველა მისულ სტუმარს გლიტვეინისა და ტკბილეულის დაგემოვნების საშუალება ქონდა.

ფოთში შობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი კონცერტი ჩატარდა

ქალაქ ფოთში შობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართა. ღონისძიება მთავარ მოედანზე, საახალწლო ნაძვის ხესთან მოეწყო, რომელშიც მონაწილეობა ადგილობრივმა ქორეოგრაფიულმა, ფოლკლორულმა, ვოკალურმა და საესტრადო კოლექტივებმა და ჯგუფმა "ფრანმა" მიიღეს. მოეწყო საახალწლო სოფელი, სადაც ყველა მისულ სტუმარს გლიტვეინისა და ტკბილეულის დაგემოვნების საშუალება ქონდა. გაიმართა ცეცხლოვანი შოუ და წარმატებულ სპორტსმენთა დაჯილდოება. ღონისძიება ჯელესტო გამოსვლით დასრულდა. საშობაო-საახალწლო კონცერტის მხარდამჭერები: სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური", შპს „არსი"- (დირექტორი სოსო წულაია),შპს „აისბერგ-ფოთი" (ირაკლი ცეკვაშვილი),შპს „სოფმარი" (ვახტანგ ალანია),შპს „კაისა-2" (დავით დანელია), შპს „ლოჯისტექსი" - (ალექსანდრე თოფურია), შპს „აისბერგ-2"- (ირაკლი ვეკუა),შპს „ კავკას მეტალ ტერმინალი"-(ირაკლი კვარაცხელია), შპს „ კავტრექს-ფოთი" (რობერტი გვაზავა). შპს "ლუკა-ფოთის აგრარული ბაზარი", კაფე "ვენა", კაფე "ოსტროვი",პიცერია "ვერონა"," ეერ ოუსე". ღონისძიება კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით მოეწყო.

ფოთის მერმა გოჩა კურდღელიამ წლის საუკეთესო სპორტსმენი დააჯილდოვა

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა კურდღელიამ წლის საუკეთესო სპორტსმენი დააჯილდოვა. ეს ტიტული მოჭიდავე გივი ნადარეიშვილს ერგო, რომელმაც 2019 წელს ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატში სამბოში დიდებს შორის III ადგილი მოიპოვა. მუნიციპალიტეტის სახელით სპორტსმენს ფულადი ჯილდო 2000 ლარის ოდენებით გადაეცა.

მუნიციპალიტეტის ჯილდო გადაეცა დამსახურებულ მწვრთნელს, ზურაბ ტუღუშს -ფულადი ჯილდო -1000 ლარი.

მეორე ადგილი კი მსოფლიო ჩემპიონატზე ჭიდაობა სამბოში ჭაბუკთა შორის I ადგილის მოპოვებისათვის, ევროპის ჩემპიონატზე ჭაბუკთა შორის მეორე ადგილის მოპოვებისთვის ჯაბა თურქიას ერგო (ფულადი ჯილდო 1500 ლარი), მწვრთნელი --კონსტანტინე ხუბუტია -(750 ლარი).

მესამე ადგილი -2019 წელს ევროპის ჩემპიონატზე კრივში ჭაბუკთა შორის III ადგილის მოპოვებისათვის- გიორგი საჯაიას გადაეცა - (ფულადი ჯილდო -1000 ლარი), მწვრთნელი - დავით დავთიანი - ფულადი ჯილდო -500 ლარი.

ქალაქ ფოთში ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის და 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით დაჯილდოვდა ფეხბურთის მწვრთელ-მასწავლებელი, ფოთის საპატიო მოქალაქე ბატონი ნუგზარ ლემონჯავა. ადამიანი რომელიც წლების განმავლობაში მუხლჩაუხრელად ემსახურება მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდისა და დაოსტატების საქმეს.

პარაოლიმპიური სპორტულ პირველობაზე მიღწეული წარმატებისათვის ჯილდო გადაეცა ლევან ბიბილურს და მის მწვრთნელს ნუგზარ ფანცულაიას.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის გოჩა კურდღელიას და ა(ა)იპ ქალაქ ფოთის სპორტის და ტურიზმის ცენტრის დირექტორის ბექა გუგუშვილის გადაწყვეტილებით, წლის წარმატებული სპორტსმენი გივი ნადარეიშვილი ჭიდაობის სკოლაში მწვრთნელად იმუშავებს.

ავთანდილისაგან ფრიდონისას მისვლა, ტარიელს რომ გაეყარა
(პოემაში ჩაფლული ღვთის საიდუმლოებანი)

ავთანდილმა, რომელმაც ნურადინ ფრიდონ მეფის შესახვედრად სამოცდაათი დღე ზღვის ნაპირით გაიარა,შეხვდა ზღვიდან დაბრუნებულ მენავეებს და მათ, ჰკითხა:

,,მე მეფესა თქვენსა ვეძებ,
მასწავლეთ სით წავიდე".

თავიდანვე, მინდა გითხრათ, რომ პოემაში წარმოდგენილი გმირები და სახელმწიფოები ალეგორიული ხასიათისაა და ისინი არ ასახავენ მათი არსებობის სინემდვილეს, მაგრამ პოემა ,,ვეფხისტყაოსანში" ჩაფლული ღვთის საიდუმლოებანი მიუთითებენ უზარმაზარ ეზოთერულ ცოდნაზე, რომელიც არსებობდა ,,არაბეთს" ანუ იბერიაში... და, თუ რა მიზანს ისახავს რუსთველის ზესაიდუმლოებითი, მისტიკური ხასიათის უკვდავი პოემის შექმნა, მიუთითებს იმაზე, რომ გენიალურმა ქართველმა პოეტმა, წმინდა ქურუმმა შოთა რუსთაველმა კარგად გააგებინა და ნათლად დაანახა ინდოევროპული მოდგმის ე.წ. კორიფეებს, რომ ღვთის, პირველადი ეზოთერული ცოდნის საწყისი არის აქ! იბერია-ში. ამასთან დაკავშირებით, მინდა გითხრათ: ,,რუსთველის პოეტური სამყაროს, მისი მსოფლმხედველობისა და შემოქმედებითი მეთოდის შესწავლა ბოლომდე შეუძლებელია"- ზვ. გამსახურდია. რაც კარგად ქონდათ გათვითცნობიერებული, (სულიერი მისიის მოწინააღმდეგეებს, რომლებიც დღენიადაგ ისწრაფოდნენ და ძალადობით ამკვიდრებდნენ, თავისი ველური კულტურის და ე.წ. ისტორიის დამკვიდრებას. ამიტომ, რუსთველმა თავისი ზეუნივერსალური, ქმნილება ,,ვეფხისტყაოსანი" წინ დაუდო ინდოევროპული მოდგმის ე.წ. ისტორიის ,,მამებს" და მათ უთხრა:

,,ნუ ამრუდებთ უმართლესსა, ნუ
წაიწყმდით ამით სულსა!"

ამით რუსთაველმა კიდევ ერთხელ მკაფიოდ გამოხატა თავისი ურყევი პოზიცია და სამართლიანად შეახსენა სიყალბეში შთანთქმულ დანარჩენ მსოფლიოს ისტორიული ჭეშმარიტების შესახებ.ზღვიდან დაბრუნებულმა მენავეებმა ავთანდილს მიასწავლეს ნურადინ ფრიდონ მეფის სამეფოსაკენ მიმავალი გზა:

,,მოახსენეს; ეს გზაა მულღანზანზარს მიმავალი."

რაც შეეხება, სამეფო ,,მულღანზანზარის" ეტიმოლოგიას, იგი ძველ მეგრულ – ზანურია და ასე განიმარტება: ,,მულ", ,,ულ", რაც ნიშნავს: წახვლას, სვლას; ,,ღა"-წაღებას; ,,ზან"-ზანეთი; ,,ზარი"-სამეფო. ,,ზანეთის სამეფო", ,,ზანეთს მიმავალი საჩუქრით", (საუბარია, ავთანდილის მიერ დაფარული, ეზოთერული, სარწმუნოებრივი ცოდნის მიტანა ღირსეულ ნურადინ ფრიდონ მეფესთან). ნურადინ ფრიდონ მეფე, რაც ნიშნავს: ,,იმედს, სასოებას, რწმენისადმი გამონათებას"-ზვ. გამსახურდია.მინდა გითხრათ, რომ პოემა ,,ვეფხისტყაოსანის" ბრწყინვალება, სისპეტაკე და სირთულე მის საიდუმლოებაშია. რასაც ვერ ჩაწვდნენ ისტორიისა და კულტურის ,,პირველწყაროდ" წარმოჩენილი, გაამპარტავნებული, ინდოევროპელები, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს რუსთველის ზეამაღლებულ გონზე და წინასწარმეტყველებაზე, რომელმაც მსგავსი სახის გამოცდა მოუწყო (როგორც აიეტმა დაცემულ იასონს) ქურდული სულისკვეთებით გამსჭვალულ, დაბალი ცნობიერების მატარებელ რასებს, რომლებიც ვერ ჩაწვდნენ ზეუნივერსალური ისტორიული ძეგლის პოემა ,,ვეფხისტყაოსანის" საიდუმლოებით მოცულ ეზოთერულ ცოდნას მხოლოდ მადლმოსილი არს ღირსი სრულად ჩაწვდეს პოემის საიდუმლოებას! და არა მე! რომელიც წვვეთი ვარ ამ უდიდეს ოკეანეში, თუმც წვეთიც ხომ იძლევა მნიშვნელოვან ცნობას ჩვენი ცნობიერების ამაღლებისა და მის გამდიდრებაში. გზად ავთანდილმა იხილა მეფე ნურადინ ფრიდონის ნადირობა:

,,იგი ნადირობს, შეუკრავს ნაპირი
ველი შამბნარისა". (ლომთა სადგომი)

ნურადინ მეფე რომელიც სრავს, (ხოცავს) მრავალ ნადირს, აქ საუბარია არაპირდაპირ მხეცთა ხოცვაზე, არამედ კულტურის დაბალ საფეხურზე მდგომი ველური აზროვნების ხალხთა დაბალ ფენაზე. ვისთანაც ტარიელი (სამყაროს მეფე, ვარსკვლავეთის უფალი-ზვ. გამსახურდია). წარგზავნის ავთანდილს, (სარწმუნოების კერა –ზვ. გამსახურდია) ნურადინ ფრიდონთან შესახვედრად.

მინდა გითხრათ, რომ ავტორი ძეგლისა ქვეცნობიერად მიანიშნებს ზანური ტომის უნიკალობაზე, მის მაღალ კულტურაზე, რომლის მეფეა ნურადინ ფრიდონი. ვისკენაც ასე სწრაფ მიიღტვის ავთანდილი. მაგრამ, სანამ ავთანდილი შეხვდება ნურადინ ფრიდონს იგი ხვდება მის ლაშქარს, რომელთა თვალწინ მოინადირებს ორბს:

,,მათ ლაშქართა ყოლბსა შუა ორბი
სითმე გადმოფრინდა,
ყმამან ცხენი შეუტია, გაამაყდა,
არ შეშინდა,
შეტყორცნა და ჩამოაგდო, დაეცა და
სისხლი სდინდა

გარდახდა და ფრთენი დასჭრა, წყნარად შეჯდა არ აქშინდა".

ავთანდილის ორბის ჩამოგდება და ფრთების დაჭრა მიანიშნებს მკვეთრად დაბალ საფეხურზე მდგომ ველურ მოდგმაზე, რომლებიც კანიბალიზმს ეწეოდა. ვიანიდან ორბი როგორც ვიცით მძორის მჭამელია. მასზე ფრთების დაჭრა ამ მოდგმის სრული განეიტრალება ავთანდილის მიერ რისი მნახველი ნურადინ მეფის ლაშქარი სახტად დარჩა. რომელმაც ავთანდილის წინაშ უკან დაიხია და ნადირთა წინააღმდეგ შექმნილი ალყაც მოხსნა. (ალყის მოხსნა კი მიუთითებს შეხვედრას, ზეაღმატებულ სარწმუნოებრივ ცნობიერებასთან, რომელსაც განასახიერებს ავთანდილი.

შეიტყო რა, ნურადინ ფრიდონ მეფემ თავისი ლაშქრის მიერ ალყის მოხსნა, მან ამბის გასაგებად წარგზავნა თავისი მონა:

,,ფრიდონ მონა გამოგზავნა: ,,წა ნახეო ისი სპანი
რა ქნეს, ალყა რად დაშალეს, სად წადიან ვითა ბრმანი?"

მონა უმალ გაემგზავრა, რომ გაეგო ფრიდონ მეფის ლაშქრის მიერ, ალყის მოხსნის მიზეზის შესახებ, იხილა და ისიც სახტად დარჩა:

,,მონა ფიცხლა მოეგება, ნახა სარო
მორჩი ტანით,
დადგა, თვალნი გაურეტდეს,
დაავიწყდეს სიტყვის თქმანი".

მონა რომელიც სწრაფ მივიდა და იხილა ,,სარო" იგივე ,,ანგ" (წმინდა ხე) მორჩი ანუ მუხა, რომელიც განასახიერებს უძველეს მისტერიებისა და სარწმუნოების ქვეყანას კოლხეთს (იბერია). რაც ავთანდილის სახით აქვს რუსთაველს გადმოცემული. რისი ნახვისას მონას თვალები გაუშტერდა და ამ სასწაულის მნახველს ენაც წაერთვა. ავთანდილმა მონის ნახვისას უთხრა:

,,წა ჰკადრე შენსა პატრონსა ესე ჩემი
დავედრებული:
ვარ უცხო ვინმე ღარიბი, საყოფთა
მოშორებული
ძმად ფიცი ტარიელისა, თქვენს წინა
მომგზავრებული".

მიდი, ეახელ შენს პატრონს და მოახსენე ჩემს მიერ თქმული სიტყვები: ვარ უცხო ერთი ღარიბი, მშობლიურ კერას მოშორებული, ძმადნაფიცი ტარიელისა, თქვენთან წარმოგზავნილი.

რაც შეეხება, ტარიელის მიერ ავთანდილის წარგზავნას, ნურადინ ფრიდონთან ნიშნავს: ტარიელის-სამყაროს მეფის, ვარსკვლავეთის უფალის მიერ სარწმუნოების, ანუ რწმენის-ავთანდილის წარგზავნა ნურადინ ფრიდონთან, რომელიც განასახიერებს იმედს, რწმენისადმი, გამონათებას, ღირსთა შორის ღირსს, რომელიც სიხარულით დებულობს ჭეშმარიტ სარწმუნოებას. ავთანდილისაგან მობრუნებული მონა ქედს იხრის მეფის წინაშე, იქვე ეცემა და წარმოსთქვამს შემდეგ სიტყვებს:

,,ფიცხლა იგი ქედი ჩავლო, ჩაეგება
ფრიდონ წინა;
რა შეხედნა, მან ესე სთქვა: ,,თუ არ
მზეო ისი ვინაა?".

,,თუა არა მზე, მაშინ ვინ არის? მოისმონა რა ფრიდონ მეფემ თავისი მონისაგან, რომ ავთანდილი წარმოგზავნილი ტარიელისაგან, ამის გამო ძლიერ გაიხარა:

,,რა ტარიელ მოისმინა, ფრიდონ ჭირი
ესუბუქდა,
თვალთა ცრემლი გადმოსცვივდეს,
გული უფრო აუჩუქდეს".

ფრიდონს ესმა რა, ტარიელ! ყველა ტკივილი განუქარდა და თვალცრემლიანს გული უფრო აუჩუყდა. ასევე, თავისი ლაშქრისაგან შეიტყო, თუ რა მიზეზით მოიხსნა ალყა:

,,თქვეს: ასეთი ხორციელი შეუქმნია
ნეტა რასა?"

ავთანდილის ხილვით მონუსხული ლაშქარი, (წმინდა საქმისათვის მოწოდებული), გაოგნებული და სახტად დარჩენილებმა იხილეს,ის რაც მათთვის ძნელად წარმოსადგენი იყო. (საუბარია პირისპირ არამიწიერ ხილვაზე).

მეფე ნურადინ ფრიდონმა რომ შეიტყო თავისი ქვეშევრდომებისაგან ავთანდილის ამბავი, მსწრაფლ გაემგზავრა მასთან შესახვედრად! შეხვედრისას ავთანდილი ფრიდონს ეტყვის:

,,ყმა, (ავთანდილი) ფრიდონს ეტყვის: ისწრაფვი, ვიცი, ამბის თხრობასა,
გიამბო ვინ ვარ რით მოვალ, ვინათგან
ლამი ცნობასა,
ან სით ვიცნობ ტარიელს, ანუ რად
ვიტყვი ძმობასა,
იგი ძმად მიხმობს, ძმა ხარო, თუმც
ძლივ ღირს ვარ ყმობასა".

ვიცი ისწრაფვი ვინა ვარ და, საით მივალ და რომ ლამობ ამის გაგებას, ან საიდან ვიცნობ ტარიელს და რად ვაღიარებ მასთან ძმობას, რომელიც ძმად მცნობს, ძმა სასო! თუმც არ ვარ ღირსი მისი ყმობისა. (ძმად, მეგობრად წოდებისა). გაიხსენეთ იოანე ნათლისმცემლის სიტყვები:

,,მე წყლით განათლავთ, მაგრამ მოდის ჩემზე ძლიერი, რომლის სანდლის თასმის გახსნის ღირსი არა ვარ".-(ლუკა 3.16,)ეს სიტყვები ,,არ ვარ ღირსი" არ მიუთითებს ავთანდილის და იოანეს პიროვნულ დაკნინებას. პირიქით, მათ თავმდაბლობაზე და ზეამაღლებულ ღვთიურ ძალაზე, რომელსაც ტარიელი-სამყაროს მეფე, ძამად მოიხსენიებს, როგორც იესო ლაზარეს, საყვარელ მეგობრად! რომელიც ასოცირდება ლაზურ ანბანთან. ავთანდილი ნურადინ მეფეს უყვება თუ როგორ ეძებდა ტარიელს სამი წლის მანძილზე. და ვინ არის იგი და საიდან მოდის:

,,მე ვარ ყმა როსტან მეფისა, მოყმე
არაბეთს ზრდილობით".

როსტევან მეფე, არის : ,,მძლავრი იერის მქონე ,,-ზვ. გამსახურდია. რომლის ყმა ,,არაბეთს" ანუ კოლხეთშია შობილი.,,დღესა ერთსა მეფე შეჯდა, ნადირობას გამოვიდა;

მინდორს ვნახეთ ტარიელი, ცრემლსა
ღვრიდა, ველთა რწყვიდა,
გაგვიკვირდა, გვეუცხოვა, ვაწვიეთ და
არ მოვიდა".

ვფიქრობ (დღესა ერთსა) არის დღე კვირა, რა დღეს, მეფე როსტევანი გამოვიდა სანადიროდ, ანუ (წირვად) მძლავრი იერის მქონე დაცემულ კაცთა სამხელად! რა დროსაც (სულიერ სივრცეში) იხილეს ტარიელი-სამყაროს მეფე, ვარსკვლავეთის უფალი, რომელსაც ღვარად სდიოდა ცრემლი: მინდა გითხრათ ცრემლთან დაკავშირებით; ყველაზე სწორ და სამართლიან განმარტებას იძლევა ზვიად გამსახურდია: ,,ღვთის მეტყველებაში, ცრემლის მადლი დაკავშირებულია სულიწმინდასთან, ,,ვეფხისტყაოსანში" კი, როგორც ვიცით ცრემლი განუყოფელია მიჯნურობისაგან"... გაგვიკვირდა, გვეუცხოვა,მოვიხმეთ და არ მოვიდა.

,,ტარიელმა მეფე იცნა, მუნდა დაჰკრა
მათთა ხმალთა,
ცხენსა მისცა, სადავენი, დაგვეკარგა
წინა თვალთა."

იგი ეძებეს ვერ ჰპოვეს, მეფე დაღონდა
შეწუხდა
დაშალა სმა, ნადიმობა, პურობა, ვეღარ
გაუძელ გამოვიპარე".

,,იგი ვძებნე წელსა სამსა, არ ვიამე
არცა ძილი,
მათ მასწავლეს, ხატაელნი ვნახე
მისგან დაკოდილი".

ტარიელმა იცნო მეფე როსტევანი და უმალ აუშვა ცხენს სადავენი და სწრაფ გაუჩინარდა ყველას თვალწინ, (დაგვეკარგა), საუბარია ცის მეუფის გამოცხადებაზე და მის უმალ გაქრობაზე, რის გამო მეფე როსტევანი ძლიერ შეწუხდა, რომელმაც შეწყვიტა ყველა სახის ნადიმობა. ყოველივე ამ წუხილს ვეღარ გავუძელ-გამოვიპარე. სამი წელი მოვანდომე ტარიელის ძებნას, გზად ხატაელთ შევეყარე, მისგან ძლიერ დაკოდილებს. ხატაელნი-ჩინელები, რომელთაც ცრუ სარწმუნოების გამო ტარიელმა წმინდა მხილებით უდიდესი დარტყმა მიაყენა მათ.

და ბოლოს, როდესაც დადგა ჟამი ფრიდონისა და ავთანდილის განშორების, რასაც ფრიდონი ძლიერ განიცდიდა, მან გადაწყვიტა მისი გაცილება, თუმცა მასთან განშორება ძლიერ კლავდა, რადგან ფრიდონს მიაჩნდა, რომ ავთანდილი არის მზე!

,,ქალაქი განვლეს, მივიდეს პირსა
დიდსა ზღვისასა,
მაშინ ფრიდონის ნახულსა,
ნასაჯდომევასა მზისასა"
,,აქა მათ ზანგთა მონათა მზე
მოიყვანეს ნავითა".

ქალაქი გაიარეს, საუბარია ფრიდონის ქალაქზე ,,მულღანზანზარზე" ზანეთზე, ხოლო მათი მისვლა: ,,პირსა დიდისა ზღვისასა" მიანიშნებს ,,შავ ზღვაზე". რადგან პრეისტორიულ ხანაში შავ ზღვას, ,,რომელიც შემდგომი სახელწოდებაა ,,დიდ ზღვას" უწოდებდნენ. ხოლო: ,,პირსა დიდი ზღვასა" ანუ ,,ნაპირს" ზღვის ქალაქისა, სადაც ზანგებმა, -(ქამიტები, მსახურები, იაფეტური მოდგმისა) მზე -ავთანდილი მოიოყვანეს ნავით, პირდაპირ მიუთითებს კოლხეთის დიდ ქალაქ ,,ფაზისზე".(პირველად ზეუნივერსალური განათლების ცენტრზე, რომელიც არის მზე! ნათელი ღვთისა, სარწმუნოების კერა-სამშობლო, რაც ავთანდილთან ასოცირდება, რის შესახებ შეგნებულად დუმს მსოფლიო და მასთან ერთად მნიშვნელოვანი ნაწილი ქართველი მეცნიერების. მაგრამ, გარწმუნებთ! ჩვენ არ დავდუმდებით!

ამ იმედით გემშვიდობებით...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

პატივისცემით ნიკოლოზ იბერი

ფუთი, 14.12.2019წ.

მილოცვა

„ვლოცავ დღეს ჩემი გაჩენის, ბედნიერი ვარ მე"!
ზურაბ ცხვიტარიას „ფაზისის" აკადემიის ნამდვილ წევრს, აკადემიკოსს

ვულოცავთ, ამ ქვეყნად მოვლინებას, მართლაც ღვთისნიერ კაცს, პატრიოტს-დიდ მამულიშვილს, კაცს რომლის ცხოვრებაც მთლიანად მიეძღვნა სამშობლოს, ასეთი ადამიანები იშვიათად იბადებიან, მათთვის ბედნიერებაა ერისთვის ტანჯვა და მოღვაწეობა. რამდენადაც პარადოქსულად არ უნდა ჟღერდეს ეს სიტყვები ამ მართლაც წამხდარ დროში, **ბატონი ზურაბი** ამ იდეებით ცხოვრობს, მისთვის რწმენა, კაცობა ყველაზე დიდი ღირებულებებია. მატერიალური კეთილდღეობა მას არ უძებნია, თუმცა, არც თანამდებობები აკლდა - ზვიად გამსახურდიას მეგობარი და თანამებრძოლი, ცხოვრობს ისე უბრალოდ, ასეა, როცა შენი სახლი სამშობლოა - მისი ბედ-იღბალი და არა პირადი კეთილდღეობა.

ბატონი ზურაბი ამავე დროს გახლავთ დიდებული მკვლევარი კოლხეთის ისტორიისა, იშვიათად მეგულება კაცი, ასე უყვარდეს თავისი სამშობლო, თავისი მხარე, კუთხე თუ ოდაბადე, საიდანაც იწყება ზოგად-საკაცობრიო ისტორია, მაგრამ თუ შენს არ დააფასებ, შენს თვითმყოფადობას, გლობალიზაციის ამ მორევში, ისე ჩავიკარგებით როგორც პატარა ნაკადული დიდ ზღვაში.

დადგება დრო მის ნაშრომებს შეაფასებენ მომავალი თაობები.

დღეგრძელობას, სიმხნევეს ვუსურვებთ ,,ფაზისის" აკადემიის ნამდვილ წევრს,, აკადემიკოსს ბატონ ზურაბ ცხვიტარიას.

ღმერთმა უმრავლოს საქართველოს თქვენაირი სახელმწიფო კაცები!

,,ფაზისის" საერო-სამეცნიერო აკადემია

გაზეთ ,,ნიკოლაძის გზით" რედაქცია

ფიქრები ქართულ მედიაზე

ქალაქმა უნდა იზრუნოს საზოგადოებრივი მასმედიის შექმნაზე

ქართული ჟურნალისტიკა პოლარიზებულია, არ არსებობს დამოუკიდებელი მედია, რომელიც დაიცავს სახელმწიფო ინტერესებს და არა ხელისუფლების, ან რომელიმე პარტიის

მსოფლიოში მაუწყებლობის სამი მოდელი არსებობს: კერძო, სახელმწიფო და საზოგადოებრივი.

სოციალური ბანაკის დაშლის შემდეგ ევროსაბჭომ ყველა პოსტსაბჭოურ ქვეყანას დაუყენა მოთხოვნა სახელმწიფო ტელევიზიისა და რადიოს საზოგადოებრივ მაუწყებლობად გარდაქმნის შესახებ ანუ ამ ქვეყნების საზოგადოებას უნდა აეღო თავის თავზე მაუწყებლობის მართვა, დაფინანსება და კონტროლი.

ევროპაში საზოგადოებრივი მაუწყებლობის იდეა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ დაიბადა და მას საფუძვლად დაედო ის პოზიცია, რომ მომავალში ჰებელსის ფაშისტური რადიოს მსგავსად, არცერთ ხელისუფლებას, არც კარგს და არც ცუდს აღარ უნდა მისცემოდა საშუალება, საზოგადოების საწინააღმდეგოდ გამოეყენებინა პროპაგანდის ისეთი მძლავრი საშუალებები, როგორიცაა რადიო და ტელევიზიაა.

ჩვენთან, სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ, ამ თემაზე ევროსაბჭოს წარმომადგენლებმა მრავალი სემინარი თუ შეხვედრა გამართეს მუშაობაში ჩვენს პარლამენტარებთან, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან და სხვა უწყებებთან ერთად, ვინაიდან საზოგადოებრივი მაუწყებლობის მართვის ფორმა უფრო დემოკრატიულია ვიდრე სახელმწიფოებრივი მართვა, ვსწავლობდით მისი ჩატარების გზებს, მაგრამ ვცდილობდით აჩქარებით რაიმე შეცდომა არ მოგვსვლოდა, ვიანიდან უკვე არსებობდა მაგალითი რუსეთისა, რომელმაც დიდი ზარზეიმით გადააკეთა სახელმწიფო ტელეარხი ,,ოსტანკინო" ,,რუსეთის საზოგადოებრივ ტელევიზიად". მალე იგი მსხვილი ოლიგარქების ხელში აღმოჩნდა, შემდეგ ძლივს დაიბრუნეს უკან. გვქონდა უნგრეთის მაგალითი-როდესაც საზოგადოებრივად ,,გადაკეთებული" უნგრეთის სახელმწიფო ტელევიზია, სინამდვილეში რედაქციების მიხედვით პარლამენტის ფრაქციებსა და ჯგუფების კონტროლს დაექვემდებარა. ვიცოდით, რომ საფრანგეთის ტელევიზია მხოლოდ ახლა ახერხებდა განთავისუფლებულიყო სახელმწიფო ზეწოლისაგან, რომ იტალიასა და გერმანიაში ტელევიზია ნაწილობრივ პოლიტიკური ძალების გავლენის ქვეშ მოექცა, ესპანეთის ტელევიზიას მთლიანად ხელისუფლება აკონტროლებდა და სხვა მოკლედ გვსურდა რეფორმის შედეგად სამ ზირითად პრინციპზე დამყარებული პროგრამირება, ფინანსები, მართვა და კონტროლი , საზოგადოებრივი ტელე-რადიო მაუწყებლობა საქართველოს საზოგადოების სამსახურში ჩამდგარიყო.

ჯერ მართვასა და კონტროლზე ვისაუბროთ და სამაგალითოდ ავიღოთ გერმანია, სადაც მაუწყებლობის მხოლოდ 2 ფორმაა- საზოგადოებრივი და კერძო. ZDF (გერმანიის მეორე ტელევიზია), საზოგადოებრივი მაუწყებლობაა, რომელიც გერმანიის სამხარეო მიწების შეთანხმების საფუძველზე შეიქმნა, მას მართვის სამი ორგანო აქვს: სატელევიზო საბჭო, ადმინისტრაციული საბჭო და ხელმძღვანელი (ინენდანტი).

პირველი სატელევიზიო საბჭოს შემადგენლობაში 77 წევრია, ესენი არიან:

- ხელშეკრულებაში მონაწილე სამხარეო მიწების თითო წარმომადგენელი, რომლებსაც ამ მიწების ხელისუფლება ნიშნავს.
- ფედერაციის სამი წარმომადგენელი, რომლებსაც ფედერალური ხელისუფლება ნიშნავს.
-პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელი, რომლებსაც ბუნდესტაგში მათი ადგილების პროპორციული შეფარდებიდან გამომდინარე, მათივე პრეზიდიუმები ნიშნავენ.
- გერმანიის ევანგელისტური ეკლესიის 2 წარმომადგენელი.
- კათოლიკური ეკლესიის 2 წარმომადგენელი.
- ერთი წარმომადგენელი, რომელსაც გერმანიის ებრაელთა ცენტრალური საბჭო ნიშნავს.
- გერმანიის პროფკავშირების,გერმანიის მოსამსახურეთა პროფკავშირების და გერმანიის სახელმწიფო მოხელეთა პროფკავშირების თითო წარმომადგენელი.
-გერმანიის მუშათა კავშირების ფედერალური გაერთიანების 2 მრეწველობის და ვაჭრობის ყრილობის ერთი, სოფლის მეურნეობის ცენტრალური კომიტეტის 1 და გერმანიის ხელოსანთა კავში რის წარმომადგენელი.
-გაზეთის გამომცემელთა ფედერალური კავშირის 2 წარომადგენელი.

გერმანიის ჟურნალისტთა კავშირის, მასობრივი ინფორმაციების საშუალებათა წარმოების პროფკავშირის ბეჭდვისა და ქაღალდის, პუბლიცისტიკისა და ხელოვნების თითო წარმომადგენელი.

- თავისუფალი საქველმოქმედო კავშირების 4 წარმომადგენელი. კერძოდ: გერმანიის ევანგელისტური ეკლესიის დიაკონატის, გერმანიის მოწყალების კავშირის, გერმანიის წითელი ჯვრისა და გერმანიის ქველმოქმედების თითო წარმომადგენელი.
- გერმანიის ქალაქების ყრილობის, გერმანიის ქალაქებისა და სათვისტომოების კავშირი და გერმანიის მიწათა ოლქების ყრილობის თითო წარმომადგენელი.
- გერმანიის სპორტული კავშირის ერთი წარმომადგენელი.
- გერმანიის ევროპული კავშირის ერთი წარმომადგენელი.
- გერმანიის გარემოს და ბუნების დაცვის კავშირის, გერმანიის ბუნების დაცვის გაერთიანების თითო წარმომადგენელი.
- დევნილთა კავშირის ერთი წარმომადგენელი.
- სტალინიზმის მსხვერპლთა გაერთიანების ერთი წარმომადგენელი.
- აღზრდისა და განათლების მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის, კინოინდუსტრიის, თავისუფალი პროფესიების, ოჯახებთან მუშაობის, ბავშვთა დაცვის, ახალგაზრდობასთან მუშაობის, მომხმარებელთა და ცხოველების დაცვის 16 წარმომადგენელი.

როგორც ხედავთ სია საკმაოდ ვრცელია. საზოგადოებრივი მაუწყებლობის მართვის სატელევიზიო საბჭოში პრაქტიკულად ქვეყნის მთელი სპექტრია წარმოდგენილი, ქალთა დადგენილი პროცენტის გათვალისწინებით. საბჭოს ყავს ფარული კენჭისყრით არჩეული თავმჯდომარე და მოადგილე.

სატელევიზიო საბჭო 3 თვეში ერთხელ იკრიბება, მისი ძირითადი ამოცანაა სამაუწყებლო დირექტივების შემუშავება, ანუ ტელეკომპანიის პროგრამაში რა სახის გადაცემები, რა თანაფარდობით იყოს წარმოდგენილი. რას მიენიჭოს პრიორიტეტი მიმდინარე ეტაპზე და სხვა. კონსულტაციას უწევს კომპანიის ხელმძღვანელს დასახული ამოცანების შესრულებაში. თვალყურს ადევნებს ფედერალურ ორგანოთა შორის დადებული ხელშეკრულების მოთხოვნების შესრულებას, ამტკიცებს ტელეკომპანიის ბიუჯეტს ადმინისტრაციული საბჭოს წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს ხელმძღვანელს და სხვა. ტელეკომპანიის ხელმძღვანელი მონაწილეობს და საჭიროების შემთხვევაში, აქვს უფლება მოითხოვოს სიტყვა, საბჭო ვალდებულია მოუსმინოს მას.

საბჭოს წევრებს ირჩევენ 4 წლით . არააქვთ უფლება ანაზღაურებით იმუშაონ ,,ცდფ"-ში ან რომელიმე სხვა ტელეკომპანიაში. არაა ქვთ უფლება ქონდეთ ეკონომიკური ან რაიმე ინტერესი, რომელსაც შეუძლია ავნოს ამ წევრის ფუნქციონირებას საბჭოში და სხვა.

2. ადმინისტრაციული საბჭო შედგება 14 "- პუნქტისაგან, ესენი არიან:

- სამხ. მიწების 5 წარმომადგენელი. ერთი მათგანი იმ მიწის მწარმოებელია სადაც ,,სდფ" -ი ტერიტორიულად იმყოფება.
- ფედერაციის ერთი წარმომადგენელი, რომელსაც ფედერალური ხელისუფლება ნიშნავს.
-დანარჩენ 8 წევრს სატელევიზიო საბჭო ირჩევს ფარული კენჭისყრით, ხმების სამი მეხუთედი. ადმინისტრაციულ საბჭოში შეიძლება სატელევიზიო საბჭოს წევრიც იყოს არჩეული. ამ შემთხვევაში იგი სატელევიზიო საბჭოდან გაირიცხება. საბჭოს ამ 8 წევრს არ აქვს უფლება შედიოდნენ მთავრობაში, ან რომელიმე საკანონმდებლო ორგანოში.

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ იმ გარემოს - ადმინისტრაციული საბჭოს 14 წევრიდან, მხოლოდ 6-ია წარმომადგენელი, ხოლო 8 წევრი, ან უმეტესობა საზოგადოების ინტერესებს წარმოადგენს. ასევეა სატელევიზიო საბჭოშიც, რაც ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია.

ადმინისტრაციულ საბჭოს წევრებს ირჩევენ 5 წლით. მას ყავს ფარული კენჭისყრით არჩეული თავმჯდომარე და მოადგილე. თავმჯდომარეს ,,ცდფ"-ის ოფიციალური წარმომადგენელია და ხელს აწერს ხელშეკრულებას, როგორც კომპანიის ხელმძღვანელთან, ასევე სხვა იურიდიულ დოკუმენტებზე. იგი სატელევიზიო საბჭოსთან შეთანხმებით ნისნავს და ათავისუფლებს კომპანიის ხელმძღვანელს სატელევიზიო საბჭოში დასამტკიცებლად შეაქვს კომპანიის წესდება. უფლება აქვს საბჭოს შესთავაზოს ცვლილებები წესდებაში. საბჭო აკონტროლებს ხელმძღვანელის საქმიანიბას, განიხილავს და ღებულობს მის მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტის გეგმას და შესაბამისი პარაგრაფის თანახმად აგზავნის დასამტკიცებლად სატელევიზიო საბჭოში. ადმინისტრაციული საბჭოს წევრებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საბჭოს მუშაობაში და საკუთარი აზრი გამოთქვას დღის წესრიგის გათვალისწინებულ საკითხებზე.

3 ხელმძღვანელს ირჩევს სატელევიზიო საბჭო ფარული კენჭისყრით, შემადგებლობის სამი მეხუთედით, 5 წლით. ის პასუხს აგებს ,,ცდფ"-ის ყველა საქმიანობაზე, სატელევიზიო პროგრამების შექმნის ჩათვლით. ადმინისტრაციულ საბჭოსთან შეთანხმებით ნიშნავს მოადგილეს და სხვა საკვანძო მიმართულებათა ხელმძღვანელებს.

ახლა დაფინანსების საკითხებს შევეხოთ და ჩავიხედოთ ,,რადიო და ტელემაუწყებლობის მსოფლიო საბჭოს" მომზადებულ და ,,იუნესკოს" გამოცემული პატარა წიგნში.

,,საზოგადოებრივი რადიო და ტელევიზია. რისთვის? რანაირად? "მასში ნათქვამია, - ,,თუმცა გადასახადი მიმღებ მოწყობილობაზე (ტელევიზორი, რადიო) რჩება დაფინანსების ყველაზე გავრცელებულ ფორმად თუნდაც ევროპაში, იგი სრულებითაც არ გახლავთ ერთადერთი". მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მსგავსი გადასახადი საერთოდ არ არსებობს. მაგ კანადაში და ავსტრალიაში საზოგადოებრივი მაუწყებლობა სახელმწიფოს საერთო ხარჯებით ფინანსდება.

უფროსი თაობის ადამიანებს ემახსოვრებათ, რომ ტელევიზორის სააბონენტო გადასახადი ყოფილ საბჭოთა კავშირშიც არსებობდა, ხოლო ტელევიზორი ,,რეკორდი" 175 მანეთი ღირდა. შემდეგ ტელევიზორი გააძვირეს 210 მანეთი გახდეს და სააბონენტო გადასახადი მოხსნეს, ანუ ტელევიზორის ღირებულებაში შეიტანეს. ეს მაგალითი იმისთვის მოვიტანე, რომ ვიცოდეთ, საზოგადოებრივი ტელევიზიის დაფინანსების სხვადასხვა გზები არსებობს. ზოგიერთ ქვეყანაში, ,,ტელეგადასახადის" საფასური ქვეყანაში შემოტანილი აპარატურის ღირებულებაშია, ზოგში ელექტრო ენერგიის საფასურში შედის და ა.შ. მთავარია, ხელისუფლება არ გაძლევდეს ფულს და გეუბნებოდეს, მე გიხდი და მე მემსახურეო. მთავარი პრობლემა, მართვის ფორმაშია!

როგორც ვიცით, გერმანიაში არის პირდაპირი სააბონენტო გადასახადი ტელე-რადიო კომპანია ,,დოიჩე ველე" გერმანიის საგარეო ტელე და რადიო მაუწყებლობაა, რომლის მიზანია, მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში მყოფ გერმანელს მშობლიურ ენაზე მიაწოდოს ტელე და რადიო პროგრამები. როგორ ფიქრობთ, ავსტრალიაში მცხოვრები გერმანელი (ანუ აბონენტი), რომელიც ამ საზოგადოებრივ არხს უყურებს, სააბონენტო გადასახადს იხდის? რათქმაუნდა არა. მაშ, როგორ ფინანსდება, საიდან იღებს ტელე-რადიო კომპანია მილიარდებს? -100%-ით ფედერალური ბიუჯეტიდან. გერმანიის მთავრობა აფინანსებს ამ ტელე-რადიო კომპანიას., ვიანიდან იგი გერმანელი ერის ინტერესებს ემსახურება, მაგრამ აფინანსებს არა საგარეო საქმეთა სამინისტროს გავლით, რომელსაც ინტერესები აქვს უცხოეთში, არამედ შინაგან საქმეთა სამინისტროს გავლით. დაიკვირდით, აქაც ისევ მართვასთან, ანუ მართვაში ჩართულობასთან გვაქვს საქმე.

,,-ჩვენ თანდათან უფრო ხშირად მოწმე ვხდებით საზოგადოებრივი და კომერციული დაფინანსების შერწყმისა", ნათქვამია იუნესკოს გამოცემაში. ეს ნიშნავს, რომ კერძო ტელევიზიებთან კონკურენციის პირობებში საზოგდოებრივმა მაუწყებლობამ არ უნდა თქვას უარი კომერციულ საქმიანობაზე. პირიქით, უნდა შეეცადოს წარმატებულიც იყოს, რათა ეს შემოსავლები ისევ თავის ძირითად საქმიანობას მოახმაროს. მაგ: იგივე ტელეკომპანიას ,,ZDF" გერმანიის მეორე ტელევიზია სააბონენტო გადასახადებიდან თავისი ბიუჯეტის მხოლოდ 39 %-ს ღებულობს, დანარჩენს სარეკლამო შემოსავლებიდან ავსებს. ასევე გამოკვლევის შედეგად საფრანგეთის სენატის მოხსენებაში მოტანილია მეტად საინტერესო ფაქტი, რომ მოზარდი თაობა ეჭვის თვალით უყურებს ტელევიაზიას, რომელსაც კომერციული რეკლამები არ აქვს. მართლაც, ევროპაში 10-15 წლის წინათ, საზოგადოებრივ მაუწყებლებს აკრძალული ქონდათ კომერციული რეკლამის გაშვება, მაგრამ კონკურენციის პირობებში, ამ სფეროში არსებულმა რეალობამ აიძულა მთავრობები შესწორებები შეეტანათ მაუწყებლობის კანონში.

როგორც ვხედავთ საზოგადოებრივ ტელევიზიაში, კომერციული რეკლამის არსებობას ფინანსური მნიშვნელობაც აქვს, ფსიქოლოგიური და არხის რეიტინგის მაჩვენებელიცაა. ბუნებრივია, არ უნდა გავაღიზიანოთ მაყურებელი იმით, რომ კერძოსავით ყოველ 15 წუთში ,,გავჭრათ" ფილმი თუ პროგრამა რეკლამის გასაშვებად, ისინი გადაცემებს შორისაც შეიძლება განთავსდეს.

რამაზ ლაგვილავა
შალვა ლიპარტელიანის გახსენება



როგორ გვენატრები ჩემო შავლეგ, ჩემო ძმაო და მეგობარო, ექვსი წელი გავიდა რომ არ შემოსულხარ ომახიანი მისალმებით შენს უსაყვარლეს თეატრში. იმ თეატრში, რომლის სცენაზე დიდებით ივსებოდა შენი სული და გული. თეატრი იყო შენთვის დედაც და მამაც, შენი სუნთქვა, შენი ძალა და ღონე. იყავი უსაყვარლესი ხელოვანი ადამიანი. გიყვარდა ძმობა და მეგობრობა. შურიანობას და ღალატს ვერ ეგუებოდი. ყველასათვის იყავი ძმა და მეგობარი. წელს,28 იანვარს გისრულდება 74 წელი. მაგრამ შენთვის 2014 წლის 31 იანვარი შავად გათენდა.

დაუნდობელმა სიკვდილმა აღარ დაგინდო ჩემო შავლეგ. წახვედი ჩვენგან სამუდამოდ და მარადიული ბინა დაიმკვიდრე სამოთხეში. იძინე ტკბილად ჩემო შავლეგ. ფაფუკი ყოფილიყოს შენთვის კოლხთა უძველესი ფაზის-ქალაქის მიწა.

შალვა ლიპარტელიანის ხსოვნას

ნისლით დანისლულა სვანეთის მთები,
შხატას შემოხვეია ღრუბელი შავი,
სვანეთს დევგმირი შვილი უკვდება
სიკვდილი შეყრია მწარე და ავი.
ზანზარებს უშმა ქედმოუხრელი,
თეთნულდს ცრემლების ღვარი ჩამოსდის,
ნუთუ სიკვდილმა კლანჭი გამოკრა
ოქროს აკვანში გმირად გამოზრდილს.
ვაი ნანა, შენთვის რა ადრე დაღამდა,
სახეზე შეგრჩა მწარე ღიმილი,
ჩემო შავლეგო, როგორ გვარგუნე
მარადიული გულის ცვივილი.
სვანეთი გიხმობს მშობელი შენი,
სვანეთის მთები თეთნულდი, შხატა,
შენი მავშვობის ნარმენ ბილიკებს
შავი მურუსი გადაეფარა.
ნუთუ სიკვდილმა ასე დაგჯამნა,
ნუთუ ამ მნელეთს ვეღარ ვერევით,
ჩემო შავლეგო, ისევ კვლავ ძმურად
სანამ ვიცოცხლებთ მოგეფერებით.
ხოჩა–ადამი დედის ნამშობო
მინდა კვლავ ძმურად შეგეხმაცკმილო,
იძინე შავლეგ, ძმაო ნაფიცო,
სვანეთის მთებში ზრდილო ყმაწვილო.

რამაზ ლაგვილავა
ფოთის სახელმწიფო
თეატრის თანამშრომელი

ჩემო ძვირფასო და საამაყო ფოთელებო
დღესასწაულებს გილოცავთ!

ახალი წლის დადგომა ყოველთვის დიდი დღესასწაულია, დიდი ნიშანსვეტი წარსულსა და მომავალს შორის. ზღვარი - როცა დგება ფიქრისა და განსჯის დრო. საით მივდივართ, რას მივაღწიეთ, რა უნდა გავაკეთოთ. რათა კიდევ უფრო ლამაზი და მიმზიდველი გავხადოთ ცხოვრება. ჩვენ ტრადიციული ერი ვართ და განსაკუთრებული სიყვარულით ვეგებებით ახალ წელს-გურიაში, კალანდობას რომ ვეძახით, გამორჩეული, თავისებური, ხალხური, ეროვნული, კულტურულ-ეთნოგრაფიული, მუსიკალური თუ სხვა თვალსაზრისით.

განსაკუთრებით დიდი ზეიმით აღინიშნა ეს დღესასწაული გურიის რეგიონში. ღონისძიებას ლაიტმოტივად გასდევდა, რწმენა სიყვარული, მიმტევებლობა. გურიას სტუმრობდა საქართველოს პრეზიდენტი ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე სხვა ოფიციალური პირები. ამ დღეებმა კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ ერთიანობის გარეშე წარმატებებს ვერ მივაღწევთ-რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია.

სამშობლო როგორც უფალი ერთია ქვეყანაზედა.

ამ სულისკვეთებით გილოცავთ კალანდობას. სიხარული, ბარაქა, წინსვლა დაგბედებოდეთ ყველა სფეროში.

კორნელი სართანია

შემოდიოდა ჩვენში კალანდა
იხარეთ მრავალჟამიერ!

სიხარული, ხვავი და ბარაქა დაგბედებოდეთ! ყოველი წლის მობრძანება იმედით გვავსებს-რომ ყველაფერი შეიცვლება უკეთესობისკენ-იქნება შვილთა სიმრავლე, მეტი დოვლათი, ბედნიერი და მომდიმარი ხალხი, ერთმანეთზე შეყვარებული და მზრუნველი. საახალწლო -საშობაო და კალანდობის დღეები ამაზე ფიქრისთვის საკმაო დროს გვიტოვებს, სადღესასწაულო განწყობას ამაღლებს. ტრადიციების გაცოცხლება, ახალი წლის ისე შეხვედრა, როგორც ეს ჩვენ დიდ წინაპრებს უხაროდათ, თითქოს ისინი ჩვენთან არიან, ძველებურად ახარებთ კალანდობის ლამაზი დღეები-ლამაზი, ლაღი ბუნება, თოვლიანი გურიის მთები და მისკენ გაფრენილი გურული კრიმანჭული და შვიდკაცას მოძახილით ამ გადასახედიდან, ამ ფაქტების და შეხვედრის მოლოდინით მინდა მოვულოცო, ჩემს ძვირფას ფოთელებს შობა-ახალი წელი. ტრადიციული კალანდობა.

დაე, ეს წელი ყოფილიყოს ერის გამთლიანების, ურთიერთ დანდობის, მიმტევებლობის, ურთიერთ სიყვარულის, ერთი მიზნისკენ სწრაფვის, ქვეყნის სულიერი, კულტურული და ეკონომიკური აღმავლობის, ათასობით ემიგრანტის სამშობლოში დაბრუნების წელი!

გილოცავთ, იდღეგრძელეთ, იხარეთ იბედნიერეთ მრავალჟამიერ!

ნაპო თოდუა

სახალხო მთქმელი
მირიან ჯგუბურია

ფოთი იყო ერთ-ერთი პირველი ქალაქი, სადაც ზღვით აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა შემოვიდა. ფოთელები თავადაც არ იყვნენ დალხენილი, მაგრამ სამშობლოში უსამშობლოდ დარჩენილ ადამიანებს გვერდში დაუდგნენ, მას შემდეგ ბარე 30 წელი გავიდა. საერთაშორისო ორგანიზაციები იხილავენ ლტოლვილთა დაბრუნების საკითხს, მაგრამ ამაოდ, სამწუხაროდ, მათი დიდი ნაწილი კვლავაც უბინაოა და ბევრი აქაურობასაც ტოვებს, ბევრიც იმედს არ კარგავს, შრომობს, წვალობს, ოჯახებს არჩენს, ბევრიც საზღვარგარეთიდან ეხმარება თავისიანებს.

ჩვენთან მცხოვრები დევნილები თავს ფოთელებად თვლიან. 30 წელი მთელი ცხოვრებაა, ერთი თაობა გაიზარდა, მირიან ჯგუბურიაც მათ შორისაა - სახალხო მთქმელი, თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული კაცი. ლექსებსაც წერს მოცლილობის ჟამს და დარდსაც იქარვებს.

მშობლიური კუთხე

რა ხანიც უნდა გავიდეს
ვერ ვივიწყებ ადგილებს,
ზურმუხტოვანი ზეციდა
მართლაც გავდი მზეთა–მზეს,
ომმა მეკრძალ შეარყია,
შენი საღვთო სილამაზე,
ნათქვამიდანაც კი ვიცი
შეგრჩენია ის სინაზე.
კავკასიის მთებიდან,
მზე რომ ამოდიოდა,
გაათბობდა არემარეს,
და ზღვაში ჩადიოდა.
მოლიეღლვე სანაპირო,
რომ სამოთხესა ჰგავდა,
უსამართლო ომის ცეცხლი
უსირცხვილოდ მას რომ წვავდა.
ვერ დავითვლი მტრების რიცხვს,
ვინ და ვინ ჩვენ გვიტოვდა,
აქეთ გადმოსასვლელად
გზები ხალხს ვერ იტოვდა.
მითხარ! რა დამავიწყებს,
სოხუმის მთის რესტორანს,
ცეცხლმოდებულს, გადამწვარს,
განთქმულ მოცანიკურ ბაღს.
რა სილამაზე გვქონდა,
სოხუმ–დიოსკურიას,
ყველა ჩვენს ლტოლვილსა
იქ ქეიფი სწყურია.
Mმახსოვს, როგორ ვცეკვავდით,
რიწის ცმაზე ყოფნისას,
რა სამოთხედ მიგვაჩნდა
გაგრა ან და ბიჭვინთა.
ზღაპრულს მოგაგონებდა
მღვიმე ახალ ათონისა
მიკრო მაცარებელთა,
მომგვრელი სიამოვნებისა,
რა, სილამაზე ჰქონდა,
გულდაუთს და ეშურას,
მიწის ქვეშა რესტორანს,
აფხაზეთის „პიშურას".
ღმერთო! აწი გვაღირსე
დDამბრუნების უფლება,
ნუთუ აღარ გეყოფა
ჩვენი ცანჯვა წამება.
ა□წი მაინც გვაგრძნობინე
ჩვენი მიწის სურნელება,
საკმარისი უნდა იყოს
ყოფა გვქონდეს ჩვენ მედგრული.

ნაპო თოდუა
ცნობილი მეფუტკრე და სახალხო მთქმელი

ავტო–პორტრეტი

ეს ცხოვრება უშეცდომოდ
არც არავის გაუვლია,
მაგარმ არ თქან ამ საწყალმა
მოლოს სულ მთლად აურია!

წყენა

ამას შენგან არ ველოდი
აზრიანი მეგონე,
მე არ ვიცი გული მწყდება
ნუთუ მრიყვი გეგონე.
უფალმა თუ გაპაცია
სამჯავროზე არ გამაქვს,
რა ვქნა წყენას ვერ ვივიწყებ,
და ცკივილი თან დამაქვს!!!

ხედვა!!

ხედვის კუთხე
სხვადასხვა გვაქვს,
აზრიც განსხვავებული,
ეს არ ნიშნავს არ გისმიოთ
ვიცო აქაფებული,
დიალოგით შეჯერება,
მგონი მისაღებია,
ამ გზით მაკვალიანებდა
ცხოვებული მებია!

ეჭვიანი

ეჭვიანი ნუ იქნები!!
შურიანზე ცუდია.
არ იფიქრო მას დაფარავს
დიდი ყუჯამ ქუდია!

ძმაკაცს

ის პერსონა არა ხარ
რო გებიოთ და სხვაში
მუდამ მზად მეგულები
შენ სიმართლის დაცვაში.

წუწუნი

მე არ ვიცი სხვას რა უჭირს,
მიჭირს მარა არ ვწუწუნებ!
მე ვაგვარებ ჩემს პრობლემებს
და რაცა მაქვს არ ვწუწუნებ!

სიმღერაა მთელი ჩემი ცხოვრება

ნუგზარ ნაჭყებიას შემოქმედებითი საღამო გაიმართა

30 დეკემბერს /2019წ/ ფოლკლორის ცენტრის ინიციატივით, ფოთის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დარბაზში ჩატარდა მომღერლისა და ლოტბარის ნუგზარ ნაჭყებიას შემოქმედებითი საღამო-სიმღერაა მთელი ჩემი ცხოვრება. ღონისძიების წამყვანმა-თამთა ჯიქიძემ ვრცლად ისაუბრა ნაგზარ ნაჭყებიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპიზოდებზე. საღამო მარტვილის ლამაზი ხედების ჩვენებით დაიწყო, წაკითხულ იქნა მსახიობ გია სურმავას მიერ პოეტ ჯემალ ჩახავას ლექსი -მარტვილი:

„...ასე ლამაზად, ასე მარტივად
როგორ მოგნათლეს
ნეტავ მარტვილად...

და ამ ლამაზი ქალაქის მარტვილის სოფელ დიდი ჭყონში 1948 წლის 20 ივნისს დაიბადა ლოტბარი და მომღერალი ნუგზარ ნაჭყებია.

სკოლის დამთავრების შემდეგ 1966 წელს, სიმღერაზე შეყვარებულმა ახალგაზრდამ სწავლა ფოთის სამუსიკო სასწავლებელში - ვოკალურ განყოფილებაზე განაგრძო. აქ მას ცნობილი პედაგოგები ვიტალი ენდელაძე და თემურ ჩუბინიძე ასწავლიდნენ.

მან აქ გაიცნო ცხოვრების თანამგზავრი - დოდო გუგუშვილი, რომელთანაც ერთად 1 სამუსიკო სკოლაში 25 წელი მუშაობდა პედაგოგად.

განსაკუთრებული იყო მისი შემოქმედებითი ურთიერთობა 1 მუსიკალური სკოლის დირექტორ არჩილ ხორავასთან. ის მღეროდა საქართველოს მუსიკალური საზოგადოების ანსამბლში, და ბატონი არჩილის გარდაცვალების შემდეგ ამ ანსამბლს ხელმძრვანელობდა.

ასევე მათი ურთიერთობა წისქვილქარხნის ანსამბლ „თავთავშიც“ გრძელდებოდა.

პერიოდულად ნუგზარ ნაჭყებია მუშაობდა ნავსადგურის კლუბის დირექტორად, ქალაქის 2 საშუალო სკოლის ლოტბარად.

1966 წლიდან განსაკუთრებულია მისი მოღვაწეობა, როგორც სოლისტისა, საქალაქო კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში (ლოტბარი არჩილ ხორავა; ქორეოგრაფი მურთაზ ჩახავა), 1974 წლიდან კი ბატონ იროდი ტიკარაძის (კულტურის სახლის დირექტორი, ლოტბარი) მიერ შექმნილ ფოლკლორულ ანსამბლ „ფაზის-ში“.

ფოლკლორულ ანსამბლ "ფაზისთან" ერთად მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ ღონისძიებებსა თუ ფესტივლებში, როგორც საქართველოს მასშტაბით, ასევე უცხოეთში (გერმანია, იტალია, უნგრეთი, ბულგარეთი, სლოვენია, თურქეთი).

2015 წლის 26 ნოემბერი - კულტურისა და დასვენების პარკის ცენტრალურ შესასვლელთან გაიხსნა სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლ „ფაზისის“ ვარსკვლავი, გამორჩეულია ანსამბლის წარმატებებში ნუგზარ ნაჭყებიას როლი.

დღეისათვის ნუგზარ ნაჭყებია არის ვოკალური ანსამბლ „ფაზისის" (ხელმძღვ. გ. ჯანელიძე) წევრი და სოლისტი. იგი დღესაც გვაოცებს ჟღერადი ხმითა და ადამიანებისადმი მეგობრული დამოკიდებულებით.

ნუგზარ ნაჭყებიას ჰყავს ქალიშვილი ეკა, მეუღლესთან გოჩა კუჭავასა და შვილებთან: გივიკოსა და ნინისთან ერთად ამჟამად ქალაქ მოსკოვში ცხოვრობს. ეკა პროფესიით ექიმია. ბავშობაში კი მღეროდა ფოთის ქორეოგრაფიულ სტუდიასთან არსებულ ვოკალურ ანსამბლში მამის ხელმძღვანელობით.

ნუგზარი არის ორი შვილიშვილის არაჩვეულებრივი ბაბუა, გივიკო კუჭავა არის მოსკოვის სახელმწიფო ჰუმანიტარული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების, საერთაშორისო პოლიტიკის, საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტი, ნინი კი მე-10 კლასის წარჩინებული მოსწავლე.

ბაბუის გენებმა იმძლავრეს პატარა გივიკოში. ის წლების განმავლობაში ქ.ფოთის ფოლკლორის ცენტრთან არსებულ ბიჭუნათა ანსამბლ „კოლხი ბიჭებში“ მღეროდა ლოტბარ იროდი ტიკარაძის ხელმძღვანელობით.

ნუგზარის ცხოვრება სიმღერა და სიყვარულია.

...და ნუგზარ ნაჭყებიას ფოთის საზოგადოების წინაშე წარსდგენა არ სჭირდება. ფოთელებმა შეისისხლხორცეს ეს მართლაც ღირსეული პიროვნება, რომ არც კი ახსოვთ სინამდვილეში მარტვილელი რომ გახლავთ, უფრო მეტიც სწყინთ კიდეც, როცა ბატონი ნუგზარი თავის მარტვილურ წარმოშობაზე ჩამოაგდებს საუბარს, ალბათ ამაზეა ნათქვამი, კარგი ყველას თავისთვის უნდაო...

ბატონი ნუგზარი მისეული განუმეორებელი ხმის ჟღერადობით აღგაფრთოვანებს, სიმაყით გავსებს, შენი ხალხის ისტორიას გახსენებს,რომ მისი ნაწილი ხარ, გენეტიკური უსასრულობისა და მარადიულობის ნაწილი. ვინ არ მოხიბლულა მის მიერ შესრულებული „მრავალჟამიერით“, „ოჩეშხვეით“, „ჩელათი“, "მაყრულით", „ნადურით“, აფხაზური ვარადოთი, რომლებსაც დღესაც ახალგაზრდული შემართებით ასრულებს, მას უმღერია ცნობილი ლოტბარების მიხეილ ხავთასის, არჩილ ხორავასა და შოთა აბრალავას გუნდებში. ეს სიმღერები საქართველოს სახელწიფო რადიოს ოქროს ფონდშია შეტანილი.

ნუგზარ ნაჭყებიამ განსაკუთრებული წარმატება გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში მოიპოვა, როდესაც პოპულარულ სატელევიზიო კონკურსში "ჩვენ ვეძებთ ტალანტებს" ქალაქ ქუთაისში გამართულ რეგიონალური ტურის გამარჯვებული გახდა - ფოთის საქალაქო კულტურის სახლის ვოკალური კვარტეტთან: ზურაბ და ნუგზარ დადიანებისა და ავთანდილ აბურჯანიასთან ერთად.

სხვადასხვა პერიოდში ბატონი ნუგზარი ჰიდრომექანიზაციისა და გემთმშენებელი- გემთშემკეთებელ ქარხნებში ხელმძღვანელობდა ქალთა ვოკალურ ჯგუფებს. ამასთანავე მან გემთმშენებელ-გემთშემკეთებელ ქარხანაში ჩამოაყალიბა საესტრადო ანსამბლი: ავთანდილ აბურჯანიას, ბიძინა და გია თავბერიძეებისა და ნუგზარ ნაჭყებიას შემადგენლობით.

პარალელურად მუშაობდა ჩხოროწყუს რაიონის სასოფლო კლუბებსა და სასკოლო გუნდებში.

დიდი და მრავალფეროვანია ნუგზარ ნაჭყებიას ცხოვრების გზა, გზა რომელიც - სიმღერის გზაა, უსათუოდ მას მიესადაგება გამოთქმა "სიმღერაა მთელი ჩემი ცხოვრება". -- ამ სიმღერაში განივთებულია საგალობელი ქვეყნისადმი, ერისადმი, მშობლიური ფაზისისადმი.

ბატონი ნუგზარი საოცრად სტუმართმოყვარეა, ამიტომაცაა, რომ მას ხშირად სტუმრობენ არა მარტო ფოთელები, არამედ მშობლიური მარტვილელებიც. ნუგზარ ნაჭყებიას სახით ხომ მათ ფოთში ხელგაშლილი მასპინძელი ეგულებათ, რაც ძალიან ახარებთ და ეამაყებათ.

სამწუხაროა, რომ ბატონი ნუგზარის ოჯახის დიასახლისი ქალბატონი დოდო ახალგაზრდა გარდაიცვალა, მას შემდეგ, კი როგორც თვითონ აღნიშნავს, ნახევარი კაცი დარჩა, მან ხომ სწორედ მოსიყვარულე მეუღლის თანადგომით შექმნა ფოთში ერთ-ერთი სამაგალითო ქართული ოჯახი. საკუთარ თავთან მარტო დარჩენილი ფიქრებით კვლავ იმ წლებს დასტრიალებს როცა ქალბატონ დოდოსთან ერთად ოჯახური ბედნიერებით ტკბებოდა ....მასთან ერთად ხომ არა მარტო ოჯახი, არამედ მუსიკალური სკოლის კედლები და იქ გატარებული წლებიც აკავშირებდა.

ცხოვრება კი, მძიმედ თუმცა ცალად, მაგრამ მაინც გრძელდება ... რას იზამ, სულ მინორულ განწყობაზე თუ იქნები ცხოვრებაზე სულაც უნდა აიღოო ხელი -ამბობს ბატონი ნუგზარი, რომელსაც ძვირფასი მეწყვილის დაკარგვით გამოწვეული გაუსაძლისი მწუხარება ნაწილობრივ შვილმა, სიძემ და შვილიშვილებმა გაუქარვეს.

სიურპრიზი ბატონ ნუგზარს, დღეს მას, როგორც მამას, სიმამრს, ბაბუას მოეფერებიან მოსკოვიდან.

თასით ღვინო და ალალი მეგობარი რას ინატრებს კაცი ამაზე უკეთეს აი მისი ცხოვრების კრედო- „სიყვარული გზად და ხიდად“.

ქართული სუფრა ცხოვრების აკადემიაა ნათქვამია. ქორწილი კი დიდი სპექტაკლია, ლამაზი დღესასწაული, ვინ მოთვლის რამდენი ასეთი სუფრის თამადა ყოფილა, ენაწყლიანი, პოეზიითა და იუმორით სავსე კაცი ნუგზარ ნაჭყებია.

ღონისძიების ბოლოს ფოთის თეატრის მსახიობმა ჯანო იზორიამ ანსამბლ ფზისის სიმღერის ფონზე წაიკითხა ჯემალ ჩახავას ლექსი -

„ მადლობელი ვარ“

მონაწილეობდნენ:

ვოკალური ანსამბლი „ფაზისი“ -ხელმძღვ გიორგი ჯანელიძე

ფოლკლორული სიმღერის ანსამბლი - ლოტბარი იროდი ტიკარაძე

ქორეოგრაფიული ანსამბლი „ფაზისი“ - ქორეოგრაფი ახმედ ამბალია

ქორეოგრაფიული ანსამბლი „ლაზიკა“- ქორეოგრაფი გიგლა თურქია

ქალთა ტრიო - ხელ-ლი ნალიტა ამირანაშვილი

არჩილ ხორავას სახელობის სახელოვნებო სასწავლებელთან არსებული - ტრიო - გია გურგენაძის ხელმძღვანელობით

ფოთის სალოტბარო სკოლის გუნდი - ლოტბარი იროდი ტიკარაძე

ღონისძიების დასარულს წამყვანმა სცენაზე მოიწვია ბატონ ნუგზარი. მან მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს, სტუმრებს.

და მომღერლებთან ერთად მრავალჟამიერიც შეასრულა.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ ფოთის მერი ბ-ნ გოჩა კურდღელია და მერის მოადგილე პაატა ლაგვილავა.

ტრადიციული ჩიჩილაკი, თუ პომპეზური ნაძვის ხე

ჩიჩილაკი ტრადიციული საახალწლო ,,ნაძვის ხეა" საქართველოში. მოხუცის წვერივით დაშვებული ქათქათა ფოჩები. თავზე ჯვრით, რომელიც ვაშლით (სიბრძნის სიმბოლო) და სხვადასხვა დაჩამიჩებული (გამძლეობის სიმბოლო) ხილით ირთვებოდა, თავად თხილის ხე, რისგანაც ჩიჩილაკს ამზადებენ სიმტკიცისა და ბარაქის სიმბოლო იყო, ამიტომ ეგებებოდნენ ახალ წელს ჩიჩილაკით - ეს ნიშნავდა, რომ ის წელი ბარაქიანი, მტკიცე ოჯახებითა და ბრძენი თაობის მომცემი წელი იქნებოდა.

რაც შეეხება ნაძვის ხეს, მისი სამშობლო გერმანიაა. ძველი გერმანელები თვლიდნენ, რომ ნაძვში ცხოვრობდა კეთილი სული, რომელიც ყველა მცენარეს, მხეცსა და ფრინველს იცავდა (მართლაც დაუკვირდით: ნაძვის ფესვებთან ბუნაგს იკეთებს ჩვენებური დათვი, კურდღელი, ხეზე სოროში ცხოვრობს ციყვი, ხოლო მის დაბურულ ტოტებს მრავალი ფრინველი აფარებს თავს).

ამიტომ, ძველი გერმანელები ნაძვთან მიდიოდნენ და თაყვანს სცემდნენ. მისი ტოტები მიჰქონდათ და სახლში კედლებზე ჰკიდებდნენ. შემდეგ კი ახალ წელს მთელი ხის დადგმა დაიწყეს.

ნაძვის თაყვანისცემის წესი გადაიღეს ჰოლანდიელებმა, შემდეგ ინგლისელებმა, რომლებიც თაყვანს სცემდნენ არა როგორც სულის საბინადროს, არამედ, როგორც უჭკნობი სიცოცხლის, მუდმივი ახალგაზრდობისა და ძლიერების სიმბოლოს.

ნაძვის დადგმის წესი საქართველოში XIX საუკუნის ბოლოს შემოვიდა რუსეთიდან, თუმცა ძველ ტრადიციასაც არ ღალატობდნენ და ჩიჩილაკსაც დგამდნენ, ასეა დღესაც.

ინტერესმოკლებული არ იქნება, ალბათ, ჩვენი მკითხველისათვის თუ როგორ ზეიმობენ ახალ წელს ის ქვეყნები, სადაც ნაძვი საერთოდ არ ხარობს, და საერთოდ ახალ წელს ზამთარში კი არა გაზაფხულზე ზეიმობენ. თუ დავუკვირდებით, ბუნება ახალ წელს სწორედ გაზაფხულზე ზეიმობს, რადგან გაზაფხულზე იწყება ახალი სიცოცხე. ასეა ტროპიკულ ქვეყნებში. მაგალითად ვიეტნამში ნაძვის ხის მოვალეობას ასრულებს ატმის ტოტები, იაპონიაში -ერთად შეკრული ლერწმის, ფიჭვისა და ქლიავის ტოტები. რომლებიც გამძლეობის, ხანგრძლივი სიცოცხლისა და სწრაფი ზრდის სიმბოლოს წარმოადგენენ.

ახლა ისევ საქართველოში დავბრუნდეთ! ჩვენთან უკვე ტრადიციად იქცა ვიტრაჟების საახალწლოდ გაფორმება, არა მარტო სახლებში, არამედ დაწესებულებებშიც ფეხი მოიკიდა მორთული ნაძვისხეების დადგმამ. ქალაქის ცენტრალურ ნაწილში იდგმება დიდი ნაძვის ხე.ეს შესანიშნავი ტრადიციაა, მას ადამიანების ცხოვრებაში ხალისი და სიხარული შემოაქვს.

ჩვენ რამდენიმე მოქალაქე გავაჩერეთ და შევეკითხეთ, რა აზრისანი იყვნენ- ჩიჩილაკი სჯობს თუ ნაძვის ხე?-აი, რას ფიქრობენ ჩვენი თანაქალაქელები:

- მარინა ოჩიგავა: ჩვენ ის თაობა ვართ, ძველი ტრადიციები ფარდის მიღმა რომ დატოვა. მუდამ ნაძვის ხეს ვრთავდით. ჩემს ბავშვობაში ნაძვის წვერი ჭერამდეც წვდებოდა. შემდეგ ხელოვნური ნაძვის ხეები შემოიღეს, ისინი შედარებით დაბლები იყო 0,5-დან 1,5მ-მდე.ხელოვნურსაც აქვს თავისი გამართლება, სპეციალური სითხეც კი იყიდებოდა ნაძვის არომატით. მაგრამ ნაძვის ხე ხომ სიმბოლოა რადაცის, რისთვისაც მას უპირატესობა მისცა ხალხმა. ამიტომ მე მგონი ცოცხალი ნაძვის ხის დადგმა უფრო მიღებულია, რაც შეეხება ჩიჩილაკს უკვე რამდენი წელია ხალხი ტრადიციის ნიშნად მასაც დგამს.

- მზია დოლბაია: რათქმა უნდა ნაძვისხე უფრო ლამაზია, მეტი ხალისიც შეაქვს ოჯახში. ბავშვების სიხარულსაც ხომ ნუ იკითხავთ. ნაძვის ხის მორთვა და მასთან ტრიალი ბავშვისთვის დიდი სიამოვნებაა. ჩიჩილაკი უნდა შევინარჩუნოთ, როგორც პატივისცემა ტრადიციისადმი. მარტო ჩიჩილაკი? არამგონია ამას რაიმე ხიბლი ქონდეს.

- ჯანიკო ნადარაია: რას ამბობთ ხალხო, ჩიჩილაკი რომ იდგმებოდა მაშინ ჩვენი მრე-7, მე-8 წინაპარი ცხოვრობდა. არც ეს ლამაზი სათამაშოები არსებობდა. განა შეიძლება მორთული ნაძვის ხის ჩიჩილაკთან შედარება? ძველი ტრადიციები ხომ ცივილიზაციის მუხრუჭებია. ისე მეფე და დედოფალი ბევრ ქვეყანაში ტრადიციის პატივსაცემად შეინარჩუნეს. მხოლოდ ტრადიციის და არ არიან ქვეყნის მმართველები. ასე, რომ შევინარჩუნოთ ჩიჩილაკი, ეს კი ნაძვის უარყოფას სულაც არ ნიშნავს.თუმცა მატერიალური მხარეც ბევრს ნიშნავს.

P.S. სწორედ მატერიალური მხარეა მთავარი, დღეს ნაძვის ხის სათამაშოები საოცრად ძვირია. და თუ ვინმეს შემორჩენილი გაქვთ ამ ძველი დროიდან ,,ყველაფერი საუკეთესო ბავშვებს", და როცა სათამაშოებიც, წიგნებიც და სხვა სიკეთეც, რაც ბავშვებს ეკუთვნოდა საოცრად იაფი იყო, გირჩევთ გაუფრთხილდეთ.

დალი თოროდინავა

ხასი, ჩომეღის დაკარგა ქალაქს
გივი (გული) ლოლუას ხსოვნას
„მიდიხარ, ტკბილი გძონდეს მგზავრობა"

კიდევ ერთი კარგი ფოთელი წავიდა ჩვენგან მოულოდნელად და შეგვახსენა, რომ მართლაც ამ წუთისოფლის შვილები ვართ და ვიდრე ძალა შერგვწევს სიკეთე ვაკეთოთ-გვიყვარდეს ერთმანეთი, გვახსოვდეს ერთმანეთი, რათა მარტო არ დავრჩეთ ამ ქვეყანაზე.

გული ლოლუა ძირძველი ფოთელის, ნაღდი ინტელიგენტის პატრიოტი, უაღრესად პატიოსანი პიროვნების ვახტანგ ლოლუას ოჯახში დაიბადა და აღიზარდა, ახალგაზრდობიდანვე კარგი განათლება მიიღო-იყო კარგი სპორტსმენი, არაერთხელ დააწინაურეს კომკავშირულ-პარტიულ და სამეურნეო სამუშაოებზე, ის იყო ახალგაზრდების ნამდვილი ლიდერი, კარგი წინამძღოლი და დამრიგებელი.

ნაღდი ფოთელის ყველა თვისება ბოლომდე ატარა, სტუმართმოყვარეობა, თავმდაბლობა და სიალალე წინაპრებიდან მოსდგამდა და არც არასდროს უღალატნია ტრადიციისათვის, მისთვის მთავარი სიმდიდრე ადამიანებთან ურთიერთობა და სიყვარული იყო, სულით მდიდარ პიროვნებას სხვა ქონება, სხვა სიმდიდრე არ უძებნია, ამიტომაც უყვარდა ყველას და აფასებდნენ ვაჟკაცობასა და გამტანიანობისათვის.

ქალბატონ ლალი ჭანტურიასთან ერთად დიდებული ოჯახი შექმნა, მუდამ საქმიანი, მხიარული და სტუმრიანი, დიდებული ვაჟკაცის აღუზარდეს სამშობლოს, რომელიც გააგრძელებს დიდი ბაბუის და დიდი მამის დიდებული ოჯახის სახელო ტრადიციებს.

სამწუხაროა, რომ გული ლოლუა დაკლდება საძმო-სამეგობროს, ოჯახს, ახლობლებს. ძალიან მოგვენატრება მისი ომახიანი შეძახილი, მისი მოკითხვა.

ფოთისათვის გაწეული ღვაწლი და ამაგია დიდი საგზალი ზეციური სასუფევლისაკენ მიმავალ გზაზე. თავადაც ხომ რწმენით იცხოვრა და არც კაცთან და არც ღმერთთან ვალში არ დარჩენილა-იცხოვრა თავისი ხალხის ცხოვრებით და ჩუმად, უხმაუროდ წავიდა ამ ქვეყნიდან,

ღმერთს ებარებოდეს მისი დიდებული სული.

ფოთის საზოგადოება.

საქართველოს ვეტერანთა ცენტრალური კავშირის ფოთის საქალაქო კავშირის წევრები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ყველა ვეტერანის უახლოესი მეგობრის, მოჭირნახულისა და ქომაგის, დირსეული ფაზისქალაქელი ადამიანის, სამაგალითო მოქალაქისა და პიროვნების - ბატონი

გული ლოლუას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ვეტერანთა ცენტრალური კავშირის ფოთის საქალაქო კავშირის წევრები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ყველა ვეტერანის უახლოესი მეგობრის, გულმართალი ქართველი კაცის, ფაზის ქალაქზე უზომოდ შეყვარებული პიროვნების

იოსებ (სოსო) ილიას-ძე რეკვავას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შპს სტამბა ,,ირიდას" კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა

ვალიკო ალექსანდრეს ძე კუპრაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ზურაბ ხორავას არდავიწყებას!

„როგორ გვიყვარდი, ჩვენთვის იყავ ძმა-მეგობარი ვწუხვართ და ვნაღვლობთ, გეთხოვებით გულდაწყვეტილნი ჩვენო ზურიკო, გთხოვ, გვაპატიე რომ ვერ გიხსენით და ამ ვერაგი სიკვდილისგან ვერ დაგიფარეთ..."

ზარმა მოიცვა შენი ოჯახი, საძმო-სამეგობრო, შენი უსაყვარლესი ფაზის ქალაქი - შენ აგვიმაღლდი ზეცად, ჩვენო ზურიკო!

სიტყვებს ვერ ვპოულობთ, ვერავის ვანუგეშებთ, ვერაფერს ვერ ვხსნით - ეს როგორ დაგვტოვე და მარტო, ეულად, ფრთებმოტეხილი აუყევი მარადიულობისაკენ მიმავალ ცოდვაბრალიან გზას.

ვაგლახ, რომ უსასრულოდ გაგიგრძელდება ამ გზაზე სიარული, ჩვენო კარგო ქართველო კაცო, ჩვენო გულმართალო და ცხოვრებამართალო ზურიკო.

თვალცრემლიანებმა წარსულ დროში უნდა ვიხსაპარაკოთ შენზე, შენს კეთილკაცობაზე, ღვთის შვილობაზე, ბევრისთვის მისაბაძ შენს თვისებებზე - გვახსენდება კონსტანტინეპოლში, ხელთუქმნელი აიასოფიას ტაძრის გუმბათქვეშ როგორი სევდიანი თვალებით შეჰყურებდი დედა-ღვთისმშობლის ხატებას, აგერ ექვსი საუკუნე ცრემლი რომ არ შეშრობია თვალთაგან. იქნებ რას შესთხოვდი უფლის დედას?! ვაი, რომ ეს საიდუმლო თან წარიტანე, ჩვენო ძმაო...

სულმაგარ და გულმაგარ ქართველ ვაჟკაცს შენი ქვეყნის და შენი ხალხის ტკივილი გტკიოდა და ამ ტკივილმა თითოეული ჩვენგანისთვის შეუმჩნევლად მთელი შენი სული, გული და არსება დაისაკუთრა - ეს ვერ გვიპატიებია საკუთარი თავისთვის იმ ადამიანებს, ვინც შენი სიკვდილის ავადსახსენებელ დღეს უკანასკნელად გიხილეთ თითქოს ისეთივე შეუპოვარი, ლაღი და გულმართალი, როგორიც მთელი ცხოვრების მანძილზე იყავი!

უფლისკენ სავალი გრძელი გზა გაქვს გასავლელი, ჩვენო ზურიკო! მხოლოდ უფლის იმედად ვართ - მოწიწებით ეახლები, თავს დაუხრი წმინდა სამებას - მამა ზეციერს, ძეს მისას იესო ქრისტეს და სულიწმინდა მარიამ ღვთისმშობელს და თვალცრემლიანი მოუყვები იმას, რაც ჩვენ - ამ ცოდვილი მიწის შვილებს არ გაგვანდე და არ გაგვიზიარე! ისინი გაგიგებენ, დაგიმშვიდებენ შენს აფორიაქებულ სულს, დაგიამებენ შენს ტკივილიან სხეულს, მოგეფერებიან და მიგიჩენენ ადგილს იქ, სადაც მართალნი დაივანებენ!

ჩვენ - მონანი და მხევალნი ღვთისა, ამ იმედით და უფლისმიერი სიყვარულით ჩვენს ლოცვებში შევავედრებთ სამყაროს შემქმნელს შენს ლამაზ სულს და მთელი სიცოცხლის მანძილზე სათუთად შევინახავთ შენს ნათელ ხსოვნას!

უფალს ებარებოდე, ჩვენო ძმაო ზურაბ!

მეგობრები

საქართველოს ვეტერანთა ცენტრალური კავშირის ფოთის საქალაქო კავშირის წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ხანმოკლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჭეშმარიტი ქართველი მამულიშვილი, ენგურსგაღმა საქართველოს - აფხაზეთის დირსეული შვილი, ვეტერანთა ერთობის თვალსაჩინო წევრი

ბორის ნადარაია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შპს სტამბა ,,ირიდას" კოლექტივი თანაუგრძნობს ლალი და მამუკა ესაკიებს მამისა და სიმამრის გარდაცვალების გამო.

გრიპი და გაციება - როგორ გავუმკლავდეთ ვირუსებს

ცივი სეზონის დადგომას თან ახლავს სასუნთქი გზების მწვავე ინფექციური დაავადებები. მოსახლეობაში მას ხშირად ,,გაციებას" უწოდებენ, რომლის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს სხვადასხვა ვირუსები, როგორებიცაა: ადენოვირუსი, რესპირატორულ-სინციტიური ვირუსი, პარაგრიპის ვირუსი და ა.შ. მოცემული დაავადებების კლინიკური გამოვლინება თითქმის ერთმანეთის მსგავსია და ახასიათებს:

ტემპერატურის მეტ-ნაკლები მატება (37-38 გრადუსი); ყელის ტკივილი; ხველა; თვალების ტკივილი; სურდო;

გარდა ამისა, შეიძლება თან ახლდეს შემდეგი გართულებები:

რინოსინიტუსი (ცხვირის ღრუს და პარანაზალური სინუსების ლორწოვანი გარსის ანთებითი დაავადება);

ბრონქიტი;

ფილტვების ანთება; დაავადება მიმდინარეობს დაახლოებით 7 დღე, იშვიათ შემთხვევებში - 14 დღე. როგორც წესი, ასეთ შემთვევებში მკურნალობა საჭირო არაა ან საჭიროა მსუბუქი, სიმპტომური თერაპია - სიცხის დამწევი და ტკივილგამაყოჩებელი პრეპარატის მიღება, ცხვირის გამორეცხვა ფიზიოლოგიური ხსნარით, სითხის მიღება ოპტიმალური რაოდენობით და სხვა. სიცხის დამწევი საშუალების გამოყენება ნებადართულია მაშინ, როცა ტემპერატურა 38 გრადუსი ან მეტია. 1 წლამდე ასაკის ბავშვები, მძიმე ქრონიკული დაავადების მქონე პირები და ხანდაზმულები, უნდა იყვნენ განსაკუთრებული დაკვირვების ქვეშ. ამიტომ, სიმპტომების აღმოჩენისთანავე და მითუმეტეს რაიმე გართულების შემთხვევაში დაგვიკავშირდით, რადგან აუცილებელია ჩატარდეს შესაბამისი კვლევები და მკურნალობა.

ჩვეულებრივი ,,გაციებისგან" განსხვავებით, სეზონური გრიპი სხვა სახის ვირუსული ინფექციაა. იგი მიმდინარეობს მძიმედ და მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას. გრიპს იწვევს სამი სახის ვირუსი A, B და C. ასეთი სახის ვირუსები მარტივად ვრცელდება დაავადებული ადამიანიდან ჯანმრთელ ადამიანზე და იწვევს მოსახლეობის მასიურ ავადობას.

ტიპის ვირუსს შეუძლია პანდემიაც გამოიწვიოს. გრიპის ვირუსი ადვილად იცვლის ანტიგენულ სტრუქტურას, რის გამოც ახლად დაინფიცირების შემთხვევაში, ადამიანის იმუნური სისტემა ვედარ ცნობს მას და ვერ ახდენს მის სრულ ნეიტრალიზაციას.

გრიპის ვირუსის საწინააღმდეგო მედიკამენტების ჩამონათვალი საკმაოდ მწირია და მათი ეფექტიც არარის ძალიან მაღალი. ისეთი ანტივირუსული პრეპარატი, როგორიცაა ტამიფლუ, პაციენტმა უნდა მიიღოს განსაკუთრებულ შემთხვევებში და აუცილებლად ექიმის დანიშნულებითა და მეთვალყურეობით. ამიტომ, გრიპისგან დაცვის საუკეთესო საშუალებად პრევენცია ითვლება.

პრევენციისათვის:

მოერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს

ატარეთ პირბადე,ხელები ხშირად დაიბანეთ, ჩაიტარეთ პროფილაქტიკური ვაქცინაცია, რომელიც ტარდება ყოველწლიურად, ნოემბრის შუა რიცხვებიდან.

ვაქცინაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვებისათვის, ქრონიკული დაავადების (დიაბეტი, კიტოფიბროზი, ანემია და სხვა) მქონე პირებისა და ხანდაზმულებისათვის.

მხატვრული ხედვა, ახალი დიზაინი

თუ გინდათ თქვენი სამუშაო ადგილი, ოფისის გარე ხედი, ინტერიერი გაალამაზოთ, მიმართეთ სარეკლამო სამსახურს.

თქვენს დაკვეთას შეასრულებს მხატვარ-დიზაინერი რევაზ ჭანტურია.

ტელ: 551 94 00 48 (რიონის სანაპირო, ბაზრის ტერიტორია)

განცხადება:

იყიდება ორსართულიანი კაპიტალური სახლი ქალაქის ცენტრში, განაშენიანებული ეზოთი. მის:იერუსალიმის №4

ტელ: 551 499 555

რედაქციის მისამართი: ქ.ფოთი, თამარ მეფის №52 , საკონტაქტო ტელ: (0493) 22-25-13 გაზეთი იბეჭდება ქალაქ ფოთში შ.პ.ს. ,,ირიდაში"

E-mail: k.khobalia@gmail.com

რედაქტორი ზ. აბრალავა